საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 22 ნოემბერი. 2018 წ. №237 (8638) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრის გაფანა ყვეცა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

„ირჩევ ვაშაძეს? ილებ მერაბიშვილს, ახალაიას, სააკაშვილს, ვაშაძეს!

თბილისში „ნაციონალური მოძრაობის“ საწინააღმდეგო ახალი ბილბორდი გამოჩნდა. **„ირჩევ ვაშაძეს? ილებ მერაბიშვილს, ახალაიას, სააკაშვილს, ვაშაძეს“,** – წერია ბილბორდზე.

დრო, მოვასვენოთ ქვეყანა! 4

ამხანაგო გრეგორ, დაბომბა თუ არა სააკაშვილმა ცხინვალი?! 5



სალომე ზურაბიშვილი: ჩვენ საქართველოს იდენტობა უნდა გავიტანოთ ევროპაში 2

არჩევნებში ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება აკრძალულია! 3

„ბაგრატოვანთა სახლის“ 2006 წლის მემორანდუმი 6 გასაუქმებელია!..

...ლევილიდან-წყალტუბომდე

მურთაზ კანკაძე: 8

სად ჩაიყვან სადაურსა...

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

განათავსეთ რეკლამა ყველაზე საჭირო და სანდო გაზეთში და ამით ხელი შეუწყვეთ 100 წლის ყოველდღიური გამოცემის აღორძინებას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

პრემიერი დონალდ ტუსკს შეხვდა

საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ახალი ფორმატი, რომლის პირველი შეხვედრა ბრიუსელში გაიმართა, კიდევ ერთხელ წარმოაჩენს ორმხრივი ურთიერთობების განვითარების მაღალ დონეს და ხელს უწყობს სექტორული კავშირების გაღრმავებას, — ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძისა და ევროპული საბჭოს პრეზიდენტ დონალდ ტუსკის შეხვედრისას აღინიშნა.

პრეზიდენტმა ტუსკმა საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობების დინამიკა დადებითად შეაფასა და საქართველოსადმი მხარდაჭერა კიდევ ერთხელ დაადასტურა. შეხვედრისას საუბარი შეეხო საქართველოში განხორციელებულ და მიმდინარე რეფორმებს, მთავრობის ხედვას ეკონომიკური განვითარების, დემოკრატიული ინსტიტუციების გაძლიერების, განათლების სისტემის მოდერნიზაციის მიმართულებით.

პრემიერმა ევროპული საბჭოს პრეზიდენტს მიაწოდა ინფორმაცია ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებულ მძიმე მდგომარეობაზე, ასევე ე.წ ბორდერიზაციის პროცესზე.

ყურადღება გამახვილდა ევროკავშირის როლის გაძლიერების მნიშვნელობაზე კონფლიქტის მშვიდობიანი დარეგულირების პროცესში, მათ შორის ევროკავშირი-რუსეთის ორმხრივი დიალოგის ფორმატებში საქართველოს თემატიკის მუდმივი ხაზგასმის აუცილებლობაზე.

ევროპულმა მხარემ დადებითად შეაფასა საქართველოს მთავრობის სამშვიდობო ინიციატივები და მათი იმპლემენტაციის პროცესში ჩართულობის მზადყოფნა გამოთქვა. საუბარი ასევე შეეხო ქვეყანაში არსებულ საარჩევნო გარემოს. ევროპული საბჭოს პრეზიდენტმა ხაზი გაუსვა საქართველოში არჩევნების თავისუფალ და სამართლიან გარემოში ჩატარების დამკვიდრებულ პრაქტიკას და ამ კონტექსტში დადებითად შეაფასა 28 ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნები. პრეზიდენტმა ტუსკმა საქართველოს მთავრობის მეთაურს ევროკავშირის საბჭოში უმასპინძლა.

მთავრობა ჭარბვალიანობის პრობლემის გადაჭრაზე რამდენიმე თვეა, მუშაობს!

დედაქალაქის მერი კახა კალაძე კერძო პირებისთვის სესხების განულების პროცესში მონაწილეობისა და მხარდაჭერისთვის კომერციულ ბანკებს, საფინანსო ორგანიზაციებსა და საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ მადლობას უხდის.

როგორც მან აღნიშნა, სანამ საქართველოს მთავრობა 600 000-ზე მეტი მოქალაქისთვის სესხების განულების შესახებ განაცხადებდა, ოპონენტებმა პოლიტიკური ქულების დაწერა გადაწყვიტეს.

„კერძო პირებისთვის სესხების განულების შესახებ არაერთხელ გვისაუბრია, რადგან ჭარბვალიანობა სერიოზულ პრობლემას წარმოადგენს. ამ მძიმე მდგომარეობაში 600 000-ზე მეტი მოქალაქეა, რომლებიც ყოველგვარ ეკონომიკურ საქმიანობას არიან მოკლებული. ეს მათთვის და მათი ოჯახებისთვის ძალიან დიდი ტვირთია. ამის შესახებ პრემიერ-მინისტრი, ჯერ კიდევ ფინანსთა მინისტრობის დროს საუბრობდა. ამაზე საუბრობდა პარტიის თავმჯდომარეც. როდესაც ოპოზიციამ გაიგო, რომ ბანკებთან და სხვადასხვა საფინანსო ორგანიზაციასთან ვთანამშრომლობდით და განცხადების გაკეთებას ვაპირებდით, წინა დღეს გამოვიდნენ და მოგვიწოდეს — სასწრაფოდ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ ამ ადამიანებს ცხოვრება შეუმსუბუქოთო. ოპონენტებს სურვილი ჰქონდათ, რომ პოლიტიკურად ქულები ჩაეწერათ, თუმცა ეს ყველაფერი სასაცილო და დადგმული შოუ იყო“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად, ცენტრალური მთავრობა რამდენიმე თვის განმავლობაში მუშაობდა. კახა კალაძემ სესხების განულების პროცედურის შესახებაც ისაუბრა და აღნიშნა, რომ მიმდინარე წლის ბოლომდე ყველა ვალი სრულად ჩამოიწერება.

„დაიწყოს ამ პროექტის განხორციელება და დაასრულოს ყველა ის სამუშაო, რომელიც მას ჰქონდა. ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ, რომ ეს ყველაფერი მოწესრიგებულიყო. ჩვენ, რა თქმა უნდა, სხვადასხვა მიმართულებით ვაგრძელებთ მუშაობას. ასევე „სვეტის“ მიერ დაზარალებულებიც სერიოზული პრობლემაა. ამ მიმართულებითაც ვმუშაობთ და როგორც კი მერიაში შემოვა საბუთები, მაშინვე ყველაფერს გავაკეთებთ, რომ სწორი გადაწყვეტილებები მივიღოთ“, — განაცხადა კახა კალაძემ.

„ოლიმპიური ვარსკვლავი“ დაწყებულ მშენებლობას დაასრულებს

სამშენებლო კომპანია „ოლიმპიური ვარსკვლავი“ თბილისში შეჩერებული პროექტის დასრულებას შეძლებს. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

თბილისის მერის თქმით, დედაქალაქში 179 ობიექტის მშენებლობაა შეჩერებული, რის გამოც ბევრი ადამიანია დაზარალებული. კალაძის თქმით, მერია კომპანიებთან მოლაპარაკებებს აწარმოებს და ამ პრობლემის მოგვარებას ცდილობს. სწორედ ამის ფარგლებში, გადაწყდა, რომ „ოლიმპიურ ვარსკვლავს“ დაწყებული მშენებლობის დასრულების შესაძლებლობა მიეცემა.

„დაახლოებით 350 ოჯახია დაზარალებული და დედაქალაქის მერიამ, თავის კომპეტენციის ფარგლებში, მიიღო გადაწყვეტილება, რომ მხარი დაუჭიროს ამ პროექტის სამომავლოდ განხორციელებას. ჩვენი მხრიდან რაც გასაკეთებელი იყო, ყველა გადაწყვეტილება მიღებულია და შესაბამის კომპანიას, უკვე ხვალიდან აქვს შესაძლებლობა წარმოდგენილი. ქალებმა გადაარჩინეს ოჯახები მძიმე პერიოდში. ამ დროს მამაკაცებს ადაპტაციის პრობლემა ჰქონდათ, ვერ თანხმდებოდნენ ყველანაირ სამსახურს. ამ დროს არ იყო თანასწორობა. ქალისთვის უფრო ადვილია, ყველაფერს შეეგუოს, რადგან შვილები ჰყავს. ამან განაპირობა, რომ ქალები არიან ძლიერები ამ ქვეყანაში.

რა პრობლემაც აქტუალური და ახალია, ესაა ძალადობის პრობლემა, ყველა იმ წნეხით გამოწვეული, რომელიც ამ ქვეყანას დაანწვა. ქვეყანაა ტრავმირებული და ოჯახური ძალადობა ამის შედეგია. ფაქტია, გაიზარდა ძალადობის შემთხვევები, არ ვიცი, წარსულში რამდენად არსებობდა. ადრე ან არ იყო ან არ საუბრობდნენ. დღეს ეს სერიოზული პრობლემაა! მეორე პრობლემა, რაც რჩება, ესაა ქალები და პოლიტიკა. მეტწილად ეს განპირობებულია იმით, რომ პოლიტიკა არაპოპულარული სფეროა. მიჩნეულია, რომ ესაა ბინძური საქმე და ამიტომ, ქალისთვის ალბათ უფრო რთული შესაჩევია. როცა ჩემი კამპანია დაიწყო, ტალახის დიდი ტალღა წამოვიდა. მე შვილები აქ არ მყავდა და არ მიფიქრია, რა გავლენას იქონიებდა ეს ჩემს შვილებზე. როგორ მოუწევდათ ამასთან ბრძოლა, — განუცხადა სალომე ზურაბიშვილმა „ტექნოპარკში“ შეკრებილ სტუდენტებს.

თბილისის 2019 წლის ბიუჯეტი იზრდება

კახა კალაძემ დედაქალაქის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტზე ისაუბრა, რომელიც განსახილველად თბილისის საკრებულოს გასულ კვირას გადაეგზავნა.

„გასულ კვირას, თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველადი ვარიანტი წარვადგინეთ, რასაც ოპოზიციის მხრიდან არაადეკვატური გამოხმაურება მოჰყვა. ჩვენ მიერ წარდგენილი პროექტის ჯამური მოცულობა 871 მილიონია, რომელშიც, როგორც მერიის შემოსავლები, ასევე, ცენტრალური ბიუჯეტიდან მიღებული ე.წ. გათანაბრებითი ტრანსფერის კომპონენტი შედის. ორივე კომპონენტი 2018 წლის ბიუჯეტთან შედარებით, 2019 წლის ბიუჯეტში, 50 მილიონამდე ლარით მეტია“, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტში თანხა ასევე, ბაგა-ბაღების ვაუჩერული დაფინანსებისა და 11 ახალი ბაღის დასრულებისთვის არის გათვალისწინებული. ინფრასტრუქტურული პროექტების მიმართულებით დაგეგმილი ხარჯები კი, 340 მილიონ ლარს შეადგენს.

სალომე ზურაბიშვილი: ჩვენ საქართველოს იდენტობა უნდა გავიტანოთ ევროპაში

— **ამის** შესახებ პრეზიდენტობის დამოუკიდებელმა კანდიდატმა სალომე ზურაბიშვილმა „ტექნოპარკში“ სტუდენტებთან შეხვედრისას განაცხადა. სალომე ზურაბიშვილმა სტუდენტების საგარეო პოლიტიკასთან დაკავშირებულ კითხვას უპასუხა.

— უფრო აქტიური როლი უნდა ვითამაშოთ რეგიონში. ეს როლი კიდევ უფრო უნდა დავაფასებინოთ ჩვენს პარტნიორებს. ჩვენ საქართველოს იდენტობა უნდა გავიტანოთ ევროპაში. არ გვიცნობენ, არ იციან, რომ მათ ვჭირდებით, არ იციან, რომ გვაქვს ის ფასეულობები, რომელიც ევროპას გადარჩენისთვის სჭირდება. ორმხრივი გზა უნდა გავაძლიეროთ და ამაში ყველა უნდა ვიყოთ ჩართული, არა მარტო მთავრობა, არამედ საზოგადოება, დიასპორა. ჩვენ გვყავს დიასპორის ჯარი და მათი არგამოყენება, როგორც ელჩებისა, არის დიდი დანაშაული ქვეყნის წინაშე. დიასპორა უნდა გააქტიურდეს, — განაცხადა სალომე ზურაბიშვილმა.

შეხვედრისას სტუდენტები დაინტერესდნენ სალომე ზურაბიშვილის მოსაზრებით გენდერულ თემატიკაზე. პრეზიდენტობის კანდიდატის თქმით, საქართველოში მისი კულტურით გენდერული თანასწორობა იდეოლოგიურადაა დაცული.

— ქალი პრეზიდენტი თუ იქნება არჩეული, ესაა მაგალითი შემდგომი თაობისთვის. გენდერული საქმე ევროპის მიბაძვით არასამთავრობოების მხრიდან არის წამოწეული. ჩემი აზრით, საქართველოში მისი კულტურით გენდერული თანასწორობა იდეოლოგიურადაა დაცული. საქართველოში თანასწორობა არის დაცული. ქალები არიან ბევრ სექტორში ბინძური საქმე და ამიტომ, ქალისთვის ალბათ უფრო რთული შესაჩევია. როცა ჩემი კამპანია დაიწყო, ტალახის დიდი ტალღა წამოვიდა. მე შვილები აქ არ მყავდა და არ მიფიქრია, რა გავლენას იქონიებდა ეს ჩემს შვილებზე. როგორ მოუწევდათ ამასთან ბრძოლა, — განუცხადა სალომე ზურაბიშვილმა „ტექნოპარკში“ შეკრებილ სტუდენტებს.

თეიმურაზ გორჯესტანი გრიგოლ ვაშაძის ვაჟს დებატებში იწვევს!

ნოდარ ვაშაძე თუ დათანხმდება, თუ ჩამოვა და იცის ქართული, მზად ვარ, დებატებში გამოვიწვიო, — ამის შესახებ დამოუკიდებელი საპრეზიდენტო კანდიდატი სალომე ზურაბიშვილის ვაჟმა თეიმურაზ გორჯესტანმა ტექნოპარკში განაცხადა, სადაც სალომე ზურაბიშვილი სტუდენტებს შეხვდა. სტუდენტების კითხვაზე, აპირებს თუ არა საქართველოში ჩამოსვლას, თეიმურაზ გორჯესტანმა აღნიშნა, რომ ის უკვე აქ არის.

„მე ერთი კითხვა მაქვს. მე აქ ვარ, სამ დღეში ქეთევანი პარიზიდან ჩამოდის, მე ლონდონიდან ჩამოვედი და კითხვა მაქვს, ნოდარ ვაშაძე სად არის? მოსკოვში? არ ვიცი, მაგრამ, ერთი შეთავაზება მაქვს. ჩვენ კითხვებს ვპასუხობთ, გამოვდივართ ტელევიზიით, რომ გაგვიცნოთ და იცოდეთ, როგორც ამომრჩევლებმა ვინ არის სალომე ზურაბიშვილის ოჯახი, ვინ არიან მისი შვილები. მე ვარ დაინტერესებული, ვინ არის გრიგოლ ვაშაძის უფროსი ვაჟი. თუ დათანხმდება, თუ ჩამოვა და იცის ქართული, მზად ვარ, დებატებში გამოვიწვიო, სადაც გინდათ, როგორც გინდათ, მოვილაპარაკოთ. ეს არის ქართული ვაჟკაცობა, მოვილაპარაკოთ, რა არის საქართველო, ქართული კულტურა და ქართული ენა. მე მზად ვარ, როცა გინდათ, ბატონო ნოდარ“, — განაცხადა თეიმურაზ გორჯესტანმა.

1200 ᲒᲐᲛᲝᲛᲫᲘᲔᲑᲚᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡ ᲔᲢᲐ�პᲘ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ

ᲨᲘᲜᲐᲒᲐᲜ **საქმეთა სამინისტრო საგამოძიებო სისტემის რეფორმის ფარგლებში მოქმედ გამომძიებელთა გადამზადებას და კონკურსის წესით ახალ გამომძიებელთა მიღებას იწყებს.**

შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემური განახლების და რეფორმების ფარგლებში:

ახალი გამომძიებლები მხოლოდ კონკურსის გზით შეირჩევიან;

შინაგან საქმეთა სამინისტროს 1200 მოქმედი გამომძიებელი გადამზადების სპეციალურ კურსს აკადემიაში გაივლის;

შინაგან საქმეთა სამინისტროს გამომძიებლებს მოქმედი მოსამართლეები, პროკურორები და აკადემიის ტრენერები გადაამზადებენ.

გადამზადების პროგრამის პრეზენტაცია შინაგან საქმეთა მინისტრმა გიორგი გახარიამ გახსნა. მინისტრმა გამომძიებლებსა და მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართა და საგამოძიებო სისტემის გაძლიერების და გამოძიების ხარისხის ამაღლების მნიშვნელობაზე ისაუბრა.

„დღეს ჩვენ ვიწყებთ გადამზადების და სტაჟიორების მიღების ეტაპს. სისტემური განახლება არის რეფორმების მთელი პაკეტი, რომელიც ჩვენ დავიწყეთ. ყველაზე მნიშვნელოვანია კრიმინალური პოლიციის რეფორმა და საგამოძიებო კომპონენტის გაძლიერება. ჩვენთვის ეს სისტემური რეფორმების კრიტიკულად მნიშვნელოვანი ნაწილია, რამაც უნდა უზრუნველყოს კომპეტენციის მაღალი ხარისხი და თითოეული ჩვენი მოქალაქის ნდობისთვის, შესაბამისი საპოლიციო მომსახურება. პირველი, რაც ჩვენ გავაკეთეთ, ეს იყო თანამშრომელთა მიღების წესის შეცვლა. ახალგაზრდა ადამიანისთვის, რომელიც სისტემაში იწყებს მუშაობას, მისთვის ყველაფერთან ერთად, ვგულისხმობ სოციალური უზრუნველყოფის ნაწილს, კომპეტენცია და განათლების ხარისხი მნიშვნელოვანი უნდა იყოს. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ შინაგან საქმეთა სამინისტროში მოდიოდნენ ყველაზე მაღალი კვალიფიკაციის ახალგაზრდები. ეს არის ყველაზე მნიშვნელოვანი და განმსაზღვრელი იმისთვის, რომ სამინისტრო სწრაფად და ეფექტიანად განვითარდეს.

მინდა, მადლობა გადავუხადო თითოეულ პოლიციელს. მათი ყოველდღიური შრომა და მოღვაწეობა, გარდა იმისა, რომ უნდა იყოს ეფექტიანი, ასევე, უნდა იყოს ღირსებით სავსე. ეს ის ადამიანები არიან, რომლებიც უზრუნველყოფენ, ზრუნავენ და პასუხისმგებლობას იღებენ ჩვენი მოქალაქეების ჯანმრთელობასა და სიცოცხლეზე“, — განაცხადა გიორგი გახარიამ.

ღონისძიებას არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ.

ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲐᲓᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲐᲪᲘᲣᲚᲘ ᲠᲔᲡᲣᲠᲡᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲔᲜᲔᲑᲐ ᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ!

ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ **არჩევნების მშვიდობიან, თავისუფალ და დემოკრატიულ გარემოში უზრუნველსაყოფად საქართველოს მთავრობამ საპრეზიდენტო არჩევნების მეორე ტურის საარჩევნო კამპანიის პერიოდში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების თავიდან აცილების მიზნით შესაბამისი განკარგულება გამოსცა.**

როგორც მთავრობის 2018 წლის 19 ნოემბრის საქართველოს პრემიერ-მინისტრის მამუკა ბახტაძის ხელმოწერით გამოცემულ განკარგულებაშია აღნიშნული, ცნობად უნდა იქნეს მიღებული, რომ საქართველოს ორგანული კანონით „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ საარჩევნო კამპანიის პერიოდში საჯარო მოსამსახურეთათვის დადგენილია რიგი შეზღუდვები, მათ შორის: **ხელმძღვანელ თანამდებობაზე მომუშავე საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობა; საუბნო საარჩევნო კომისიის წევრობის უფლების მქონე საჯარო მოსამსახურეს კომისიის წევრობის შემთხვევაში დროებით უჩერდება უფლებამოსილება მუდმივ სამუშაო ადგილზე, რისთვისაც შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს კუთვნილი შვებულება; საქართველოს შინაგან საქმეთა და თავდაცვის სამინისტროების, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სპეციალური პენიტენციური სამსახურის, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოებისა და დაზვერვის სამსახურებისა და სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება ადგილობრივი დამკვირვებელი ორგანიზაციის ადგილობრივ დამკვირვებლად ყოფნა; საჯარო მოსამსახურეს არა აქვს უფლება, სამუშაო საათებში ან სამსახურებრივი უფლებამოსილების შესრულებისას მონაწილეობა მიიღოს აგიტაციასა და წინასაარჩევნო კამპანიაში; საჯარო მოსამსახურეს წინასაარჩევნო პერიოდში ეკრძალება რომელიმე პოლიტიკური პარტიის, საარჩევნო სუბიექტის მხარდასაჭერად ან საწინააღმდეგოდ აგიტაციისა და კამპანიის პროცესში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება (ამ ქვეპუნქტის მიზნებისათვის ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება გულისხმობს ნებისმიერი ადმინისტრაციული რესურსის, ტელეფონის, ფაქსის, კომპიუტერის, ქაღალდის, ბაინდერის, ტრანსპორტის, საწვავისა და ადმინისტრაციული ორგანოს ბალანსზე არსებული სხვა ნებისმიერი ქონების გამოყენებას).**

გარდა ამისა, საარჩევნო აგიტაციაში მონაწილეობის უფლების მქონე საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება: **სამსახურებრივად დაქვემდებარებული ან სხვაგვარად დამოკიდებული პირის ჩაბმა ისეთ საქმიანობაში, რომელიც ხელს უწყობს კანდიდატის წარდგენას ან არჩევას; სამსახურებრივი მივლინების დროს ხელმოწერების შეგროვება და საარჩევნო აგიტაციის გაწევა; წინასაარჩევნო აგიტაციის გაწევა სამუშაო საათების ან სამსახურებრივი ფუნქციების შესრულებისას;**

საჯარო მოსამსახურეს ეკრძალება ასევე საარჩევნო სუბიექტის სახელით პირადად ან ვინმეს მეშვეობით საქართველოს მოქალაქეებისათვის ფულადი სახსრების, საჩუქრებისა და სხვა მატერიალური ფასეულობების გადაცემა ან გადაცემის დაპირება; პირადი ფულადი სახსრებით ან საარჩევნო სუბიექტის სახსრებით ისეთი სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით სახელმწიფოს კომპეტენციას განეკუთვნება.

ᲔᲜᲐᲗᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠ-ᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲝᲚᲝ�გᲗᲐ ᲡᲘᲛ�პᲝᲖᲘᲣᲛᲘ

ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲙᲝᲡ ᲐᲠᲜᲝᲚᲓ ᲩᲘᲥᲝᲑᲐᲕᲐᲡ

2018 ᲬᲚᲘᲡ 22-24 ნოემბერს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნულ აკადემიასა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიმართება ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა V საერთაშორისო სიმპოზიუმი, რომელიც ეძღვნება დიდი ქართველი მეცნიერისა და საზოგადო მოღვაწის, აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას დაბადების 120 წლისთავს. ღონისძიება გაიხსნება დღეს 22 ნოემბერს 12:00 საათზე მეცნიერებათა აკადემიაში.

სიმპოზიუმს შესავალი სიტყვით გახსნის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი, აკადემიკოსი **გიორგი კვესიტაძე.** მისასალმებელი სიტყვებით გამოვლენ საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე **მარიამ ჯაში,** აკადემიის საპატიო პრეზიდენტი, აკადემიკოსი **თამაზ გამყრელიძე,** თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორი, პროფესორი **გიორგი შარვაშიძე,** სიმპოზიუმის უცხოელი სტუმრები და მათი ქართველი კოლეგები, სხდომაზე წაკითხული იქნება ოთხი მოხსენება აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას ცხოვრებისა და შემოქმედების შესახებ.

ენათმეცნიერ-კავკასიოლოგთა V საერთაშორისო სიმპოზიუმის მუშაობაში ქართველ მეცნიერებთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები ჩრდილოეთ კავკასიიიდან, მოსკოვიდან, პოლონეთიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, შვედეთიდან. მორიგი საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართება სამი წლის შემდეგ — 2021 წელს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲠᲣᲡᲗᲐᲕᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ. 52; ᲛᲔᲮᲣᲗᲔ ᲡᲐᲠᲗᲣᲚᲘ, ᲡᲮᲓᲝᲛᲐᲗᲐ ᲓᲐᲠᲑᲐᲖᲘ.

ᲠᲐᲢᲝᲛ ᲕᲔᲠ ᲘᲖᲘᲓᲐᲕᲡ ᲗᲐᲕᲘᲡᲣᲤᲐᲚᲘ ᲢᲣᲠᲘᲡᲢᲣᲚᲘ ᲖᲝᲜᲐ ᲘᲜᲕᲔᲡᲢᲝᲠᲔᲑᲡ?

ᲙᲕᲚᲔᲕᲐᲛ უნდა აჩვენოს, რა ხარვეზებია „თავისუფალი ტურისტული ზონების განვითარების შესახებ“ კანონში და რატომ არ აინტერესებს ბიზნესს ფულის ჩადება იქ, სადაც მათ მნიშვნელოვანი შელავათები ექნებათ და არც გზებსა თუ კომუნიკაციების გაყვანაზე დახარჯავენ სახსრებს.

„მიზეზები შეიძლება ბევრგან ვეძებოთ, მაგრამ ის საბოლოოდ კონკრეტულ ანალიზს უნდა ეფუძნებოდეს, — ამბობს აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის პირველი მოადგილე თორნიკე კუჭავა და სავარაუდოდ მიზეზებსაც ასახელებს, ზონის დატვირთვის პრობლემა და ბიზნესთან კომუნიკაციის შესაძლო ნაკლებობა.

„პირველ რიგში, ანალიზია გასაკეთებელი. შემდეგ შევიმუშავებთ ახალ გეგმას, რომელიც შეიძლება მოიცავდეს არა მხოლოდ პოტენციური ინვესტორებისთვის შეთავაზებების გაკეთებას, არამედ საკანონმდებლო ცვლილებებსაც. ფაქტია ამ კანონმა ვერ იმუშავა და ბიზნესს უნდა ვკითხოთ რატომ არ დაინტერესდა“, — ამბობს სამინისტროს წარმომადგენელი.

თორნიკე კუჭავა აქცენტს ქობულეთის და მასთან ერთად, ზონის სეზონურობაზე აკეთებს. აღნიშნავს, რომ მხოლოდ ზღვის კურორტად პოზიციონირება სასტუმროების 4 სეზონზე დატვირთვას ვერ უზრუნველყოფს, რაც ინვესტორთა დაინტერესების საპირწონეა.

„უნდა გაჩნდეს ისეთი მიმართულებები, რომელიც ტურისტულ ობიექტებს დატვირთავს არასეზონზეც და ამ კუთხით არის დიდი სამუშაო“, — ამბობს თორნიკე კუჭავა და აღნიშნავს, რომ ამ მიმართულებით კანონში გარკვეული ცვლილება გასულ წლებში უკვე შევიდა, მაგალითად, სასტუმროს საქმიანობის თავსებადობას დაემატა სამორინე, რაც იმას ნიშნავს, რომ ზონაში გახსნილ სასტუმროს უფლება აქვს სამორინეც გახსნას და აზარტული თამაშების მოყვარულები არასეზონზეც მიიღოს. ახალი სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულება კომუნიკაციის გაძლიერებაა.

ამჟამად, ქობულეთის ტურისტულ ზონაში რამდენიმე გაჟღერებული პროექტი შეჩერებულია. შავი ზღვის სანაპიროზე ახალი სასტუმრო კომპლექსების გახსნას პრიორიტეტად ასახელებენ სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოში, სადაც აღნიშნავენ, რომ პროექტს „50 ქონება შენი სასტუმროსთვის“ ფარგლებში მხარდაჭერილ პროექტებს შორის არის ციხისძირსა და ბუკნარში მდებარე ობიექტები, სადაც მალე ახალი სასტუმრო-კომპლექსები მოეწყობა, რისთვისაც 20 მილიონ ლარზე მეტი ინვესტიცია განხორციელდება.

სულ ამ პროექტის ფარგლებში, დღეის მდგომარეობით ქვეყნის მასშტაბით გაყიდულია 21 ობიექტი, რომლის ჯამური ღირებულება 57 მილიონ ლარს აჭარბებს, ხოლო სასტუმრო-ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით განსახორციელებელი ინვესტიციის მოცულობა — 120 მლნ ლარს.

დრო, მოვასვენოთ ქვეყანა!

„ნაციონალური მოძრაობის“ ფიურერ სააკაშვილის დავალებით, „ნაციონალური მოძრაობა“ დაიშალა მარტივ თანამამრავლებად, რათა თითქოს მრავალი ოპოზიციური ძალა უპირისპირდებოდა პოზიციას, მაგრამ სინამდვილეში, მათ ერთმანეთისგან არაფერი განასხვავებთ, ისინი იმ უღირსი ატრიბუტებით არიან შემკულნი, რომლებითაც თავის დროზე ერთიანი ნაციონალური მოძრაობა იწონებდა თავს. „ნაციონალური მოძრაობა“, „ევროპული საქართველო“ და ძირითადად ერთკაციანი პარტიები, ანუ პამპულები შეიკაზმნენ და სუფრის თავში, ანუ პრეზიდენტობის კანდიდატად, ფიურერთან შეთანხმებით, გრიგოლ ვაშაძე წამოასკუპეს, რომელიც, თუ ვაჟა-ფშაველას ნათქვამის პერიფრაზს გავაკეთებთ, ფეხმარდი ბიჭი გამოდგა და რომელსაც გაძრომ-გამოძრომა კარგად ეხერხება, მაგრამ ამ ლაყე კვერცხიდან პრეზიდენტი გამოიჩეკება თუ არა, ეს უკვე ნაციონალებსაც საეჭვოდ მიაჩნიათ. პრეზიდენტყოფილს ამჟამად ეშლება თავისი ბინძური გეგმები — ისტორიის უკან დაბრუნება და მიზანმიმართულად ქვეყნის საბოლოოდ განადგურება, რაც ასე ძალიან სურთ მას და მის ბიძას.

„ფარისეველნო, გაუტანელნო, სხვასთან თავმხრელნო,
შინ ორმოს მთხრელნო,
ნაგავის მყრელნო, თქვე ჭრელო გველნო,
რამ შეგაძულათ, სთქვით,
საქართველო?!“

აკაკი წერეთელი

ნაციონალებს სრულებითაც არ აღელვებთ ის, რომ „პრეზიდენტობა საქვეყნო საქმეა და საქვეყნო საქმის მმართველად ვინ გინდა არ გამოდგება, იმას ქვეყანა სთხოვს თანხას გონებრივს და ზნეობრივს: თუ ერთი ამათგანი აკლია, მაშინ უნდა თავისთვის იჯდეს საკუთარს კერაზე და არ ეჩხირებოდეს საქვეყნო საქმეში“ (ვაჟა-ფშაველა). გრიგოლ ვაშაძეს კი არც გონებრივი და არც ზნეობრივი თანხა ამისთვის არ გააჩნია. რომელ ზნეობრივ თანხაზე შეიძლება საუბარი, როდესაც ის და მისი დამქაშები პრეზიდენტობის კანდიდატს, ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს ყოვლად უშვერი სიტყვები მოიხსენიებენ და ამას შემდეგ კლიპის სახით ატრიალებენ თავიანთ ტელევიზიაში — „ცრუსთავი-2“-ის არხზე, როგორც ჩანს, ტვინფრატუნა ნიკა გვარამიას შეკვეთით. დღეს მსოფლიოს ვერცერთ ქვეყანაში ვერ შეხვდებით იმის პრეცედენტს, რომ საპრეზიდენტო არჩევნების დროს ტელევიზიაში საჯაროდ პრეზიდენტობის კანდიდატს მოწინააღმდეგე მხარე ჩაქოლვით, ფიზიკური მოსპობით ემუქრებოდეს. არადა, სექტემბერში, ორ კვირაზე მეტხანს აჩვენებდნენ კლიპს, სადაც მათთვის სასურველი რესპონდენტები, როგორც ჩანს, სულ მუქთად როდი იძლეოდნენ პასუხებს. სხვაგვარად ძნელი დასაჯერებელია ის, რასაც კლიპის დასაწყისში ერთ-ერთი რესპონდენტი გაჰყვიროდა: სალომე ზურაბიშვილი დასახვრეტია. შემდეგი რესპონდენტები უშვერი სიტყვებით ლანძღავდნენ პრეზიდენტობის კანდიდატ ქალბატონს. კლიპი მთავრდებოდა ისევ ერთ-ერთი რესპონდენტის მოწოდებით — სალომე ზურაბიშვილი უნდა დავხვრიტოთო. მოკლედ, დავბრუნდით 30-იან წლებში: სალომე ზურაბიშვილი ტროცკისტია, ხალხის მტერი და ა.შ.

როგორც ჩანს, რეგვენები მიხვდნენ, რომ ნამეტანი მოუვიდათ და ეს კლიპი ნახევარი თვის შემდეგ მოხსნეს ტელევიზიის ეკრანიდან. სამაგიეროდ, სხვა სალანძღავი კლიპები თითქმის სამი თვეა, ათასჯერ მაინც აჩვენეს ტელევიზიით და ხალხი დაზაფრეს. სულ ახლახან, 8 ნოემბერს, კიდევ ვიღაც ლანა ღვინჯილიამ, რომელიც პრეზიდენტყოფილის ბიბლიოთეკაში მუშაობს, ერთ-ერთ შეხვედრაზე ყოვლად უშვერი სიტყვებით მიმართა ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს. მართლაც, ძნელია მწყობრიდან არ გამოხვიდე, მაგრამ სულგრძელი ქალბატონი ამ შემთხვევაშიც თავის სიმაღლეზე აღმოჩნდა. იმავე დღეს ბატონ გოგა ხაინდრავასაც „ცრუსთავი-2“-ის ჟურნალისტი მეტად უკმეხად მიმართავდა. ამ შემთხვევაშიც ნაჭუჭში მწივან ჟურნალისტს სურდა, ბატონი გოგა წონასწორობიდან გამოეყვანა. ეტყობა, ძმაცუა ნიკა გვარამია (ძმაცუა ძველი ქართული სიტყვაა და ვერაგს ნიშნავს, რაც ყველაზე უკეთ შეეფერება ამ პირწავარდნილი კარიერისტის ბუნებას) ამჟამად ასეთ დავალებებს იძლევა. ცნობილ მსახიობს ოთარ მეღვინეთუხუცესს უთხრეს: ნაციონალებს ჩვენი გადაკეთება უნდათო. ოთარმა მიუგო: მაგ ხელახლა გასაკეთებლების გადასაკეთებელი რა გვჭირსო. სამწუხაროდ, ამ ხელახლა გასაკეთებლებმა ქვეყანა უმძიმეს დღეში ჩაგდეს.

ის, რაც ჩვენს ტელევიზიაში და, კერძოდ, „ცრუსთავი-2“-ში ხდება, ეს არის შეტევა ქართულ ეროვნულ ფასეულობებზე, იერიში ეროვნულ ცნობიერებაზე, ეს არის საშინელი ძალადობა ქართულ ადათ-წესებზე, ტრადიციებზე, ქართული ცხოვრების წესზე, ყოველივე იმაზე, რაც ქართველ ხალხს საუკეთესო გააჩნია და რისთვისაც ღირს ერის სიცოცხლე. ცდილობენ, ქართველ ხალხს დაეკარგვინონ ღირსების გრძნობა. ქართული ტელეარხების უმეტესობაზე და განსაკუთრებით „ცრუსთავი-2“-ზე გადის აბსოლუტურად მორალისგან დაცლილი გადაცემები, რომლებიც ემსახურება ქართული სულიერი სამყაროს განადგურებას.

აკაკი წერეთელი იგონებს: მამაჩემთან გაღმა სოფლიდან გლეხი მოვიდა და შესჩივლა: იქნებ რამე მიშველოთ, ბიჭი გამიმუტრუკდა, „ნაქართლი“ გახლავთო (თბილისშია ნამყოფიო — ა.თ.). ახლა ისიც საკითხავია, ამდენმა „ნაქართლმა“ როგორ მოიყარა თავი „ცრუსთავი-2“-ის არხზე. „ცრუსთავი-2“-ს განსაკუთრებით მხარს უბამს „ტვ პირველი“. მისი ჟურნალისტები ინგა გრიგოლია, ვახო სანაია, ნინო ჟიჟილაშვილი (ეს უკანასკნელი, რაც „ტვ პირველის“ არხზე გადაბარგდა, სულ სხვაგვარად ჭიკჭიკებს) ჟურნალისტური ეთიკის ყოველგვარ ზღვარს სცილდებიან. ვახო სანაია კი მოწვეულ სტუმარს უშვერი სიტყვებით ლანძღავს და გიჟს უწოდებს.

ხშირად გვესმის ტელევიზიის ეკრანიდან, რომ რაღა დროს ნაციონალების ბატონობის ცხრა წელზე საუბარია, იმაზე ვისაუბროთ, ბოლო ექვს წელში რა გაკეთდაო. მინდა, ხაზგასმით აღვნიშნო, რომ „ქართულ ოცნებას“ მემკვიდრეობით ერგო მთლიანად დანგრეული და გაჩანაგებული საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო. ეკონომიკის მიზერული ზრდა, რითაც თავს იწონებდნენ ნაციონალები, მოხდა მოსახლეობის დატერორების, ქონების მასობრივად წართმევის, დაპატიმრებებისა და საპროცესო გარიგებების, საგარეო ვალის აღების ხარჯზე. მათ ეს რეზერვი მთლიანად ამოეწურათ და ქვეყანა ეკონომიკის სრული კოლაფსის წინაშე აღმოჩნდა. წასართმევი უკვე აღარავის არაფერი ჰქონდა. ქართული ბიზნესი, ფაქტობრივად, მოკვდა. წინასწარ, მიზანმიმართულად თითხნიდნენ საქმეებს და პრობაციონერთა მიერ ასეულმილიონობით გადახდილი თანხის დიდი ნაწილი თავკაცი ნაციონალების ჯიბეებში ილექებოდა, ხოლო მცირე ნაწილი სახელმწიფო ბიუჯეტში შედიოდა. დარღვა ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობა, დავკარგეთ ძველთაძველი ქართული მიწები და დავკარგეთ ასეულობით ახალგაზრდა. საშინელი სისასტიკით არბევდნენ დემონსტრაციებს. ჩამოიშალა ქართული სულიერი ცხოვრება. ნაციონალებმა ხალხში დათესეს შიშის სინდრომი, აბსოლუტურად უსმენდნენ ყველას, რაც არსებული სისტემის საფუძველი გახდა. როგორც იტყვიან, სიცრუემ სული შეჭამა. ზედაპირზე მოტივტივე ახალგაზრდა ნაციონალები ერის ცხოვრებას დაეპატრონნენ. გარედან მხარდაჭერილმა ძალამაც აღმართი მოხნა, ყოველივე ამან სინდისი ყუაზე დაიყვანა.

დიდი სამამულო ომის შემდგომ წლებში პირადად არაერთხელ გახლდით შემდეგი ამბის მოწმე. ჩემი წინაპრების სახლი გორაზე იდგა. უახლოესი მეზობელი 200 მეტრით მაინც იყო დაშორებული. როდესაც მეზობლები ეზოში შეიკრიბებოდნენ და პოლიტიკაზე დაიწყებდნენ მსჯელობას, ხმამაღლა საუბარს ერიდებოდნენ და სათქმელს ერთმანეთს ყურში ჩასჩურჩულებდნენ. ნაციონალების დროსაც საჯაროდ „ნაცების“ კრიტიკას ყველა ერიდებოდა, რადგან მთელ ქვეყანაში შექმნეს ჩაშვებისა და მოსმენის ინსტიტუტები, ხოლო შემდეგ, ვინც მათ აზრს არ იზიარებდა, იწყებდნენ მათზე და მათ ნათესავებზე ნადირობას — ითხოვდნენ სამსახურიდან, სხვადასხვა მაქინაციებით ქონებას ართმევდნენ, იჭერდნენ, ულახავდნენ ადამიანურ ღირსებას.

2012 წელს ოქტომბრის მეორე ნახევარში, „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ, ახალგაზრდების განწყობილებების შესწავლისა და მომხდარი ფაქტის შეფასების მიზნით, თბილისის უმაღლეს სასწავლებლებში ჩავატარეთ სოციოლოგიური გამოკითხვა.

მეტად საინტერესოა ერთ-ერთი ახალგაზრდის მოსაზრება: „უკვე შეიცვალა რაღაც! მე საკუთარ აზრს აღვნუსხავ! ხელს ვაწერ, არ მეშინია! ეს უკვე შედეგია, რომელიც, ვიმედოვნებ, დროებითი არაა!“

თანამამრავლებად დაშლილი ნაციონალური მოძრაობა, რომელიც არჩევნებში მოგვევლინა ერთი იმავე სახელწოდებით, ხოლო მეორე „ევროპული საქართველოს“ სახით (სხვა ერთკაციანი პარტიები სათვალავში არ ჩაითვლება) ძალას და ენერგიას არ ზოგავენ დაამტკიცონ, რომ მხოლოდ გრიგოლ ვაშაძეს, რომელიც სინამდვილეში გაქანებული რუსეთუმეა, შესწევს იმის უნარი, რომ საქართველო დააბრუნოს ევროპის წიაღში. თავად სახელწოდება „ევროპული საქართველო“ სრული გაუგებრობაა. ჩვენ ევროპული საქართველო კი არ გვინდა, არამედ ეროვნული, ქართული საქართველო, ქართული სახელმწიფო.

იმის დასადასტურებლად, რომ ქართველებს თითქოს უშუალო, მჭიდრო კავშირი გვქონდა ევროპასთან და მის წიაღში უნდა დავბრუნდეთ, „ცრუსთავი-2“-ის არხი უკვე კარგა ხანია უნიჭოდ გაკეთებულ, ყოველგვარ მეცნიერულ მოსაზრებას მოკლებულ რეკლამას ატრიალებს, რომლის ტექსტი ასეთია: „ჩვენი წინაპრების არჩევანი იყო ევროპა. გადავხედოთ საქართველოს ევროპული არჩევანის გავლილ ისტორიას და გზას, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა ევროპისკენ გაიარეს, მუზეუმი ინახავს ექსპონატებს, რომლებიც ჩვენს შორის მჭიდრო კავშირს ადასტურებს. ქართულ ხმალზე მგელია გამოსახული და ეს მგელი არის გერმანული. მეფე ერეკლეს თოფი ევროპას უკავშირდება, ვინაიდან მას აქვს ინგლისური ლულა და ლულაზე ინგლისურად აწერია ლონდონი. დავუბრუნდეთ ევროპას, რომლისაკენ გზა ჩვენმა წინაპრებმა საუკუნეების წინ გაკვალეს“. ასეთი უბადრუკი მაგალითებით სურთ დაამტკიცონ, რომ საქართველოს მჭიდრო კავშირი ჰქონდა ევროპასთან და საჭიროა ევროპას დავუბრუნდეთო. ის, რომ ევროპასთან კავშირი უნდა გვქონდეს და ევროპულ კულტურას უნდა ვეზიაროთ, ამის შესახებ საუბარიც კი ზედმეტია, მაგრამ საქართველოს დასავლეთ ევროპის ქვეყნებთან კავშირი საერთოდ რომ არ ჰქონია, ესეც აშკარაა. მხოლოდ ძირითადად ქართლისა და კახეთის მეფეები ელჩების მეშვეობით მოკავშირეებსა და მფარველებს ეძებდნენ დასავლეთ ევროპაში, მაგრამ უშედეგოდ, ბოლოს, სულხან-საბა ორბელიანიც დახმარების თხოვნის მისიით საფრანგეთში ჩავიდა, საფრანგეთის მეფესაც ესტუმრა, მაგრამ როგორც მისი წინამორბედები, ისიც ხელცარიელი დაბრუნდა. მხოლოდ მე-19 საუკუნეში რუსეთის მეშვეობით ეზიარა ევროპის კულტურას საქართველო და კავშირებიც, ასე თუ ისე, ინტენსიური გახდა.

ჩვენ კავშირი გვქონდა მხოლოდ ბიზანტიასთან, როდესაც რომის იმპერია საბოლოოდ გაიყო აღმოსავლეთ რომის (ბიზანტიის) და დასავლეთ რომის იმპერიებად. საქართველოში ბიზანტიას საბერძნეთს უწოდებდნენ, ბიზანტიელებს კი — ბერძნებს, იონებსა და ჰრომებს. ბიზანტიისა და საქართველოს ურთიერთობა განსაკუთრებით გაძლიერდა IX-XI საუკუნეებში. ქართველი მოღვაწეები მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ბიზანტიის პოლიტიკურ ცხოვრებაში. თურქ-ოსმალების მიერ 1453 წელს კონსტანტინეპოლის აღების შემდეგ, „ომალთა გაბატონებამ ბიზანტიის იმპერიის ტერიტორიაზე საქართველოს შეუკრა უმოკლესი გზა დასავლეთისკენ, მოუსპო დასავლეთთან თავისუფალი პოლიტიკური და კულტურული კავშირის შესაძლებლობა და მაჰმადიანთა ძლიერი საბრძანებლის რკალში მოაქცია (ქსე, ტომი 2, გვ. 365).

ზემოთ აღნიშნულთან ერთად ისიც უნდა ითქვას, რომ ქართველ ტომებს უძველესი ცივილიზაციის შექმნაში თავისი წვლილი აქვს შეტანილი. არსებობს მოსაზრება და ამ მოსაზრებას ბევრი ცნობილი ქართველი და უცხოელი მეცნიერიც უჭერს მხარს, რომ ქართველი ტომები ძველ დროში ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზეც ბინადრობდნენ და მათ იქ დიდი კულტურის შექმნაში თავიანთი წვლილიც შეუტანიათ. ასე რომ, როდესაც ბერძნები საბერძნეთში დასახლდნენ, იქ ცარიელი ადგილი არ დახვედრიათ — იქ, უკვე, როგორც ჩანს, მაღალი კულტურა არსებობდა. ეს ნათლად ჩანს იტალიელი მეცნიერის, სწავლულისა და დიდი მხატვრის დონ კრისტოფორო დე კასტელის შემოქმედებიდანაც, რომელიც საქართველოში 1627-1654 წლებში, მთელი 27 წელი მოღვაწეობდა. მას თავის ერთ-ერთ სურათზე დახატული ჰყავს უცნობი ქართველი ქალი ქრისტინე. ნახატზე კასტელს წარწერილი აქვს ქრისტინეს საოცარი ლოცვა, რომელსაც იგი აღავლენს თავისი ხალხისა და თავისი ქვეყნის უმძიმეს ბედზე და რომლის ავტორი სინამდვილეში თვით კასტელია და არა, სურათზე დახატული ვირტუალური მონაზონი. ლოცვის საოცარი სიტყვები დღესაც აქტუალურად ჟღერს, ზედმიწევნით ეხმიანება ბოლო, თითქმის 30 წლის განმავლობაში ჩვენს უთავბოლო ცხოვრებას: **„ეჰ, ვუმზერ საქართველოს და გული ცრემლებით მევსება, უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კვნესის ქაოსად გადაქცეულა. იმ ადამიანებზე ვტირი, რომელნიც ჩემში ქრისტეს დროშასავით შეუპოვარნი და ძალიან მამაცი მებრძოლნი იყვნენ და ახლა ეშმას მონობენ. საქართველოს იმ მიწას ვტირი, რომელიც მისი ბატკნების მკვებავი აღთქმული წმინდა ქვეყანა და ქრისტეს მიმბაძველი იყო; ახლა კი ტაძრის საძოვარზე ნარ-ეკალი გაზრდილა. იმ ქვეყანას ვტირი, რომლის მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განანათლეს, ახლა კი სიბეციისა და ბნელეთის დასაბამი გამხდარა. იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა, ახლა კი უვიცობის წყარო გამხდარა, სადაც თავიანთი შემეცნების სიბრმავის გამო, ბევრი სიღატაკეში ჩავარდნილა და სადაც ყველა ღმერთი მიტოვებულია (დონ კრისტოფორო დე კასტელი. ცნობები და ალბომი საქართველოს შესახებ.** გვ. 203). აღნიშნული ლოცვა უაღრესად მნიშვნელოვანი დოკუმენტია. მთავარია ის, რომ კასტელმა მე-17 საუკუნის დასაწყისში იცის, რომ საქართველოს „მცხოვრებლებმა ქვეყნიერება განანათლეს“ და ამ ქვეყანამ, საქართველომ „ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა“ და მისი ფესვები უძველეს ცივილიზაციათა ნამსხვრევებშია გადგმული.



ანზორ თოთაძე,
დემოგრაფი,
პროფესორი

(გაგრძელება იქნება)

ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝ ᲒᲠᲔᲒᲝᲠ, ᲓᲐᲑᲝᲛᲑᲐ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲡᲐᲐᲙᲐᲨᲕᲘᲚᲛᲐ ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ?!

ᲒᲕᲘ�პᲐᲡᲣᲮᲔᲗ, რა განაცხადა, სააკაშვილმა ტელევიზიით ოსეთ-საქართველოს კონფლიქტის დასაწყისისას?

სამშობლოს ზოგი „მოღალატე“ გვიმტკიცებს: „ხბოსავით აკუნტრუშებულმა სააკაშვილმა ქართველ ხალხს მიმართა, რომ **სამაჩაბლოს უმეტეს ტერიტორიას ქართული ჯარი აკონტროლებს, გასახარია ისიც, რომ კონფლიქტში რუსეთი არ ჩაერევაო!“**

გვაინტერესებს, **ეთანხმებით თუ არა, ზოგი „ინტრიგანის“ ამ განცხადებას?**

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: დაბომბა თუ არა სააკაშვილმა ცხინვალი?

ღრმად ვარ დარწმუნებული იმ დროისთვის აკვანში არ იწექით, არც ყრუ ბრძანდებით, რომ ამის შესახებ არაფერი გსმენოდათ.

ᲙᲘᲗᲮᲕᲐ: **სააკაშვილმა ვისი ან რისი იმედით დაიწყო ომი სეპარატისტებთან და არა რუსეთთან, როგორც ზოგს ჰგონია?**

თქვენნაირ ინდივიდს, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს, რა ცოდნა და გულწრფელობა სჭირდება მოვლენების სწორად აღქმას, შეგეშველები:

იმის გამო, რომ ოპოზიცია ძალებს იკრებდა, რათა სააკაშვილი დაკავებული პოსტისთვის ჩამოეშორებინა, იგი ძლიერ იყო შეშფოთებული და გამოსავალს ეძებდა. ეს გამოსავალი იპოვა კიდეც — საქართველოსთვის სასწრაფოდ დაებრუნებინა სამაჩაბლო. ეს სურვილი იგრძნეს გარეშე ძალებმა, რომელთაც არ სურთ რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ნორმალიზაცია და სამაჩაბლოში მოქმედ რუს სამხედროებს სთხოვეს, რომ სააკაშვილისთვის შთაეგონებინათ, თუ ის სეპარატისტებთან ომს დაიწყებდა, რუსეთი ამ კონფლიქტში არ ჩაერეოდა. რასაკვირველია, ხსენებული სამხედროები, სოლიდური ქრთამის გარეშე ამ თხოვნას არ შეასრულებდნენ. რა თქმა უნდა, ეს ჩემი ვარაუდია, რაც კარგად ჯდება იმჟამინდელი მოვლენების ლოგიკაში. თუ მე ვცდები, მაშინ დამისახელეთ სააკაშვილის მაშინდელი, თითქოს დამარწმუნებელი განცხადების ის ფაქტორი, რამაც განაპირობა ეს განცხადება?

სააკაშვილმა ქართველ ხალხს „აზეიმა“ დამარცხება.

თქვენ სწორად თვლით ამ თაღლითის ქმედებას? გვიპასუხეთ ისიც, — თუ რა შედეგი მოუტანა საქართველოს ამ უგუნურმა ქმედებამ?

ნაცები და თქვენ დღენიადაგ ტრაბახობთ იმას, რომ ბიუჯეტი და პენსია გაზარდეთ. აგვიხსენით, ეს პროგრესი რა მეთოდებით მოახერხეთ?

დარწმუნებული ვარ, ამ მოვლენას ახსნას ვერ უპოვით და ამჯერადაც შეგეშველებით.

როგორც ცნობილია, ხალხის მიერ კანონიერად არჩეულმა ხელისუფლებამ, რომელსაც სათავეში ედგა ზვიად გამსახურდია, მისმა თანამებრძოლებმა (კიტოვანი, სიგუა) უღალატეს და დაკავებული პოსტიდან ძალისმიერად გადააყენეს. დროებით უხელმძღვანელოდ დარჩენილ ქვეყანაში ქაოსსა და განუკითხაობას გასაქანი მიეცა. ამით ისარგებლეს ყოფილმა მინისტრებმა, ჩინოვნიკებმა და მეორედაც უღალატეს გამსახურდიას, არა მარტო მას, არამედ ქვეყანას — ბანკები უკანასკნელ კაპიკამდე დააცარიელეს, საწყობებიდან დაიტაცეს ავეჯი, მსუბუქი ავტომანქანები და ჩალის ფასად გაყიდეს. ჯიბეგასქელებულებმა დატოვეს საქართველო და იქ, საზღვარგარეთ უცებ გახდნენ შეძლებული ბიზნესმენები.

ქვეყანა უკიდურეს მდგომარეობაში აღმოჩნდა. მდგომარეობის გამოსასწორებლად რჩეულმა „ელიტამ“ მოსკოვიდან ჩამოიყვანეს შევარდნაძე, მაგრამ ერთი კაცი დაგროვილი პრობლემების მოგვარებას ვერ შეძლებდა. მომხვეჭელები უკვე შეეჩვივნენ სახელმწიფო ქონების დატაცებას და, როდესაც შევარდნაძემ ამგვარ ხალხს შეუტია, მათ გაუგონარ საბოტაჟს მიმართეს... თუმცა, პრეზიდენტმა მაინც მოახერხა ქვეყანა სახელმწიფოსთვის დაემსგავსებინა — საქართველო გაეროში მიიღეს, სტამბოლში მიღწეულ იქნა შეთანხმება — საქართველოდან რუსული სამხედრო ბაზების გაყვანის თაობაზე, რაც შემდგომში ქალბატონმა სალომე ზურაბიშვილმა წარმატებით დააგვირგვინა.

...ეს გაუსაძლისი რეჟიმი ვერ აიტანა ქართველმა ხალხმა და ბატონი ბიძინას მეთაურობით, წინა მთავრობის წარმომადგენლები პრინციპული არჩევნების გზით ხელისუფლებიდან გააძევეს...

შევარდნაძეზე „განაწყენებული“ პირები — ჟვანია, სააკაშვილი და ბურჯანაძე ზემოხსენებულ „საბოტაჟნიკებს“ სათავეში ჩაუდგნენ მათი ანტისახელმწიფოებრივი ქმედებით ქვეყანა კიდევ უფრო გაღატაკდა. მოგეხსენებათ, ყველა ქვეყანაში ეგრეთ წოდებულ „საბოტაჟნიკებს“ მკაცრად სჯიან. ხოლო ქვეყნის ზემოხსენებულმა დამაქცევრებმა დასავლეთისა და რუსეთის მხარდაჭერით შევარდნაძე დაკავებული პოსტიდან გადააყენეს. ამ ქვეყნების ხელმძღვანელებს უჭირდათ, გამოცდილი შევარდნაძე ადვილად მოეტყუებინათ. ისიც ყველას სურდა, საქართველო თავის გავლენის სფეროში მოექცია.

მართალია, სააკაშვილი და მისი მომხრეები რომ აცხადებენ — გაღატაკებული ქვეყანა ჩავიბარეთო. მერედა, ეს ქვეყანა ვინ გააჩანაგა? — სწორედ ზემოხსენებულმა საბოტაჟნიკებმა. უკვე მივედით დასმული კითხვის პასუხამდე. გაღატაკებული ქვეყნის ეკონომიკის მცირე წარმატებაც კი მნიშვნელოვან პროცენტებში გამოიხატება. მაგალითად, იაპონიისა და აშშ-ის ეკონომიკის პროგრესი უმნიშვნელო პროცენტებით გამოისახება.

ბიუჯეტის შევსება კი ხდებოდა — უცხოელებზე სტრატეგიული ობიექტებისა და ქართული მიწების გაყიდვის შედეგად. აგრეთვე ბიზნესის ძარცვა-დაყაჩაღებით, ხოლო რა სისხლიანი რეჟიმი დაამკვიდრეს ამ თაღლითებმა საქართველოში, მოწაფეებისთვისაც კარგად არის ცნობილი.

...ეს გაუსაძლისი რეჟიმი ვერ აიტანა ქართველმა ხალხმა და ბატონი ბიძინას მეთაურობით, წინა მთავრობის წარმომადგენლები პრინციპული არჩევნების გზით ხელისუფლებიდან გააძევეს...

სააკაშვილი და ვაშაძე რიხით აცხადებენ, ომი გადავიტანეთ, მაგრამ ლარი არ გაუფასურებულაო. მარტო აშშ-მა ოთხმილიარდნახევარი დოლარი გამოჰყო საქართველოს დასახმარებლად. კბილებით იცავდნენ მათ მიერ გამოზრდილ ყურმოჭრილ მარიონეტებს. მათ გამოზრდაზე მილიარდობით დოლარი დახარჯეს, ამჟამად ამ ანტისახელმწიფოებრივ ელემენტებს სარევანშოდ ამზადებენ. სწორედ მათ დაასაქმეს უკრაინაში ეს თაღლითი და არაფრისმაქნისი პირები, მაგრამ უკრაინელმა ხალხმა დიდხანს ვერ გაუძლო მათ თავხედურ საქციელს და ქვეყნიდან გააძევა.

სისხლის სამართლის აშკარა დამნაშავეების — სააკაშვილის, ახალაიას, კეზერაშვილის და სხვების ექსტრადიცია ვერ ხერხდება, დასავლეთის ქვეყნები ხმალამოღებული იცავენ ამ დამნაშავეებს. ზოგს რომ ჰგონია, „ოცნებამ“ განახორციელა ეგრეთწოდებული კოჰაბიტაციაო, სრულიად არასწორი მოსაზრებაა. სწორედ დასავლეთმა მოახვია თავს ეს დამღუპველი, ასე ვთქვათ, ქმედება საქართველოს ხელისუფლებას. მიუხედავად დასავლეთის ზეწოლისა და შინაური ანტისახელმწიფოებრივი ელემენტების ქმედებისა, ამჟამინდელმა ხელისუფლებამ მაინც მოახერხა მთავარი დამნაშავეებისა და თაღლითების — სააკაშვილის, მერაბიშვილის, ახალაიასა და სხვათა დასჯა. სააკაშვილს სასჯელი კი გამოუტანეს, მაგრამ მისი ციხეში ჩაყუდება ვერ ხერხდება ზემოხსენებულ მიზეზთა გამო.

ქვეყნის ეს დამაქცევრები გვიმტკიცებენ, ეკონომიკა რეგრესს განიცდისო. არასწორია, ზემოხსენებული ზეწოლების ვითარებაში მაინც მოხერხდა ეკონომიკის მნიშვნელოვანი ზრდა და საერთო ჯამში ცხოვრების დონის ამაღლება. ამას, ვინც ვერ ამჩნევს და თავს იბრმავებს, ან გონებასუსტი ადამიანია, ან კიდევ გამოუსწორებელი არამზადა, უზნეო ინტრიგანი.

ვინმემ არ იფიქროს, რომ მე დასავლეთთან მჭიდრო კავშირის მოწინააღმდეგე ვარ. სრულიადაც არა! მაგრამ **ჩვენ მეგობარ ქვეყნებთან ურთიერთობა უნდა დაამყაროს ჭკვიანმა ადამიანებმა და არა უმეცარმა პირებმა, რომლის ერთი წარმომადგენელი (ვაშაძე) უკვე მეორე ტურში კენჭს იყრის პრეზიდენტობის პოსტის დასაკავებლად.**

კიდევ რამდენიმე კითხვას დავუსვამდი ვაშაძეს, თუმცა იმედი არ მაქვს ჩემს კითხვებს გულწრფელად უპასუხებს?!

— რა ეწოდება ყოფილ საბჭოთა კავშირში დამყარებულ წეს-წყობილებას?

პასუხს უმალვე გამცემს, რა თქმა უნდა, სოციალისტურიო. არასწორი პასუხია. თვით კრემლის მესვეურებმა აღიარეს (1956 წ.), რომ მათ ვერ მოახერხეს სოციალიზმის დამყარება ქვეყანაში და მომავალში შეეცდებიან ამ ძნელად გადასაჭრელი პრობლემის გადაჭრას. ბუნებრივია, არ ვიტყვი სინამდვილეში როგორი პოლიტიკური მიმდინარეობა დამყარდა ყოფილ საბჭოთა კავშირში, ეს ტრაბახა გრეგორი მაშინვე იტყვის — ეგ მეც ვიცოდიო.

დაასახელოს ის საზოგადოებრივ-პოლიტიკური ფორმაცია, რაც საქართველოს დღევანდელ რეალობას შეესატყვისება, მეცნიერულად და ფილოსოფიურად დაამტკიცოს მისი ვარგისიანობა. პრობლემები დაყოს პირველ და მეორე რიგში მოსაგვარებელ პრობლემებად: დაასახელოს ის ფაქტორები, რაც აბრკოლებს საქართველოში ეკონომიკის პროგრესს; გააანალიზოს მე-20 საუკუნის დასაწყისიდან დღემდე მომხდარი მოვლენები და იქიდან სწორი დასკვნები გამოიტანოს; დასახელებული დროის განმავლობაში მოღვაწე პოლიტიკოსების საქმიანობა სწორად შეაფასოს. დარწმუნებული ვარ, ვაშაძისთვის ეს კითხვები უცხო ხილს წარმოადგენს, მაგრამ მას უფლებას ვაძლევ, დაიხმაროს თანამზრახველები, როგორებიც არიან — უმეცარი, მაგრამ დიდი სამხედრო სტრატეგი (გავიხსენოთ მისი საყვარელი იარაღი დანა-ჩანგალი) ბაქრაძე, იგივე უმეცრები — ბოკერია, უგულავა და ცქმუნად წოდებული — რომანიკა გლახა (თურმე ასე ეძახდნენ გოცირიძეს თანაკურსელები). კინაღამ დამავიწყდა მელია, ჩერჩილის დონის პოლიტიკოსი.

ვიცი, მკითხველი მისაყვედურებს — კმარა, ბატონო გივი, თქვენმა ხუმრობებმა სიმწრის ღიმილი მოგვგვარაო!

ჩემო ძვირფასო მკითხველო, ჯერ ერთი, სიცილი ჯანმრთელობის საწინდარია; მეორეც, თუ მოხდა სასწაული და ესენი ხელისუფლებაში დაბრუნდნენ, მაშინაც გვეყოფა თავში აგურების ცემა და გოდება.

ასე რომ არ მოხდეს, საჭიროა, საქართველოს ყველა მოქალაქემ ხმა მისცეს კეთილსა და ჭკვიან ქალბატონს სალომე ზურაბიშვილს!..

ᲒᲘᲕᲘ ᲯᲐᲮᲣᲐ,
მწერალი,
ილია ჭავჭავაძის
პრემიის ლაურეატი

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲐᲕᲢᲝᲛᲝᲑᲘᲚᲝ ᲮᲘᲓᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ

ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚ **წელს იგეგმება რამდენიმე მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტის განხორციელება, რომელთაგან ერთ-ერთი უნივერსიტეტის მაღლივი კორპუსიდან წყნეთის გზატკეცილამდე დამაკავშირებელი საავტომობილო ხიდის მშენებლობაა, — განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ.**

მისი თქმით, თბილისის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტით, ეკოლოგიური მიმართულებით ხარჯები მნიშვნელოვნად არის გაზრდილი. კერძოდ, ამისთვის 2019 წელს, მიმდინარე წელთან შედარებით, ხუთი მილიონი ლარით მეტი დაიხარჯება;

„გარდა ამისა, დაგეგმილია რამდენიმე ხიდისა და მეტროსადგურის რეაბილიტაცია; სანიაღვრე და წყალარინების ქსელის მოწყობისთვის დაახლოებით, ცხრა მილიონ ლარამდე დაიხარჯება, ხოლო კახეთის გზატკეცილზე აეროპორტის სატრანსპორტო კვანძიდან ლოჭინის ხიდამდე არსებული მონაკვეთის სრული რეკონსტრუქციისთვის დაახლოებით, 27 მილიონი ლარი გამოიყოფა“, — განაცხადა თბილისის მერმა. მისივე თქმით, თბილისის მერია აქტიურად მუშაობს ფინანსთა სამინისტროსთან, იმაზე მეტი პროექტი განხორციელდეს, რაც მიმდინარე წელს განხორციელდა.

„ᲑᲐᲒᲠᲐᲢᲝᲕᲐᲜᲗᲐ ᲡᲐᲮᲚᲘᲡ“ 2006 ᲬᲚᲘᲡ ᲛᲔᲛᲝᲠᲐᲜᲓᲣᲛᲘ ᲒᲐᲡᲐᲣᲥᲛᲔᲑᲔᲚᲘᲐ!..

ᲜᲔᲑᲘᲡᲛᲘᲔᲠ ᲪᲘᲕᲘᲚᲘᲖᲔᲑᲣᲚ ᲥᲕᲔᲧᲐᲜᲐᲨᲘ, იმისდა მიუხედავად, მონარქიულია ის თუ არა, ცნობილია სამეფო დინასტიის მეთაურის ვინაობა. გამონაკლისი არც საქართველო უნდა ყოფილიყო, რომლის სამეფო დინასტია ერთ-ერთი უძველესია ევროპაში. ამიტომ, მისასალმებელი იყო 1995 წელს „ბაგრატოვანთა სახლის“ დაარსება. საზოგადოებას სათავეში ქ-ნი ნინო ბაგრატიონი ჩაუდგა. ცხადია, სრულიად საქართველოს ერთი ტახტის მემკვიდრე უნდა ჰყოლოდა, მაგრამ აქ გარკვეული სირთულეები წარმოიშვა. სანამ XIX საუკუნის დასაწყისში, საქართველოს რუსეთი დაიპყრობდა, არსებობდა ორი სამეფო — ქართლ-კახეთის და იმერეთის. თავის დროზე, მეფე ერეკლეს ოჯახის წევრები არ წყვეტდნენ ფიქრს ბაგრატიონთა დინასტიის გაერთიანების გზებზე. ასე მაგალითად, გიორგი XII-ის მემკვიდრე დავით ბატონიშვილი მიიჩნევდა, რომ ვინაიდან იმერეთის მეფეები უკანონოები იყვნენ (იმერეთის მეფეთა შორის 4 უკანონოდ შობილი იყო), შეიძლებოდა იმერული შტოს გვერდის ავლა. მისგან განსხვავებით, იოანე ბატონიშვილი თანაბარ პატივს მიაგებდა ქართლ-კახეთის და იმერეთის სამეფოების ტახტის მემკვიდრეებს და ერთიან საქართველოში მათ მონაცვლეობით გამეფებას ვარაუდობდა, რაც არარეალური, მაგრამ უფრო კეთილსინდისიერი პროექტი იყო.

სადღეისოდ, ამ საკითხის გადაწყვეტისთვის საჭირო იყო იმერეთის ტახტის მემკვიდრის თანხმობა ერთიანი საქართველოს ტახტის მემკვიდრედ ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრის აღიარებაზე, რაც პირველ რიგში, ამ ორი პირის, ანუ ორი მემკვიდრის პიროვნების დადგენას მოითხოვდა. აი, აქედან იწყება ისტორიის დამახინჯება და დოკუმენტების გაყალბება. ქართლ-კახეთის ტახტის მემკვიდრედ, ზეპირსიტყვიერი ინფორმაციის საფუძველზე, მიჩნეულ იქნა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი, როგორც მეფე გიორგი XII-ის შთამომავალი, მიუხედავად იმისა, რომ ამ ვერსიის დოკუმენტური დასაბუთება არ არსებობდა. იმერეთის ტახტის მემკვიდრის ვინაობის დასადგენად კი საჭირო იყო მეფე სოლომონ II-ის ნება-სურვილის გათვალისწინება. 1804 წელს, რუსეთთან დადებული ე. წ. ელაზნაურის ტრაქტატის მე-2 პუნქტის თანახმად, იმ შემთხვევაში, თუ მეფე სოლომონს მამრობითი სქესის შვილი არ ეყოლებოდა, მისი მემკვიდრე კონსტანტინე ბატონიშვილი და მისი შთამომავლები უნდა ყოფილიყვნენ. ეს შტო შემდგომ, რუსეთში, იმერეტინსკის გვარით იყო ცნობილი. იმერეტინსკების წარმომადგენელი უკანასკნელი მამაკაცი 1978 წელს გარდაიცვალა, დარჩნენ ქალბატონები, რომლებიც ინგლისში ცხოვრობენ.

ვინაიდან მეფე სოლომონის პირობის თანახმად, ტახტის მემკვიდრე მამაკაცი უნდა იყოს, 1978 წლიდან იმერეთის შტოში უფროსობა ღვანკითში მცხოვრებ, 1925 წელს დაბადებულ ირაკლი გრიგოლის ძე ბაგრატიონზე გადავიდა. „ბაგრატოვანთა სახლმა“ ორივე ზემოხსენებული შტოს იგნორირება, ტახტის მემკვიდრედ ქ-ნი ნინო ბაგრატიონის გამოცხადება გადაწყვიტა და თავისი ისტორიკოსის, იოსებ ბიჭიკაშვილის დახმარებით მზადებას შეუდგა. დამალა მეფე სოლომონის ნება-სურვილი, ყოვლად უსაბუთოდ ქ-ნი ნინოს მამა „ტახტის კანონიერ მემკვიდრედ“ გამოაცხადა, გვარიც თვითნებურად გამოუცვალა და ბაგრატიონ-იმერეტინსკი დაარქვა, მიუხედავად იმისა, რომ ამ გვარის ტარების უფლება მხოლოდ სოლომონ I-ის შვილიშვილის „გიორგი ბუშის“ შთამომავლებს ჰქონდათ. ამავე დროს, ამცირებდნენ ღვანკითში მცხოვრებ ბაგრატიონებს, იმერეთის ბაგრატიონთა ერთადერთ შტოს, რომელიც მამრობითი ხაზით მომდინარეობს. დაიწყეს მათი ჩანაცვლება ქ-ნი ნინოს შვილებით, კახელი ჯაფარიძეებით, რომლებმაც დედის გვარი მიიმატეს, მამა — ავთანდილ დავითის ძე ჯაფარიძე (დაბ. 1914 წელს), საბუთის გარეშე, თავადად გამოაცხადეს. მისი დაბადების ადგილი კი დღემდე გასაიდუმლოებულია, რათა დაბადების ჩანაწერი არავინ ნახოს. მხოლოდ მათი ალალი მამიდის, საკმაოდ ცნობილი ხელოვნებათმცოდნე გულნარა დავითის ასული ჯაფარიძის დაბადების ჩანაწერის მოძიება მოხერხდა ყვარლის ერთ-ერთი ეკლესიის 1917 წლის წიგნში. მამად დაფიქსირებულია **„თელავის მაზ. ს. ყვარელში მცხოვრებელი აზ. დავით აფრასიონის ძე ჯაფარიძე“** (სეა, ფონდი 489, აღწერა 47, საქმე 393). და-ძმა დალი და გიორგი (გია) ბაგრატიონ-ჯაფარიძეებმა მამიდის ცნობაზე უარი განაცხადეს. უბრალო აზნაური — მამიდა კი არა, მშობელი მამაც არაფერში სჭირდებათ!

2006 წელს იოსებ ბიჭიკაშვილმა ე. წ. „ბაგრატოვანთა სახლის“ მემორანდუმი შეადგინა. საქართველოს ტახტის მემკვიდრედ ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი დაასახელა, თავისი მნიშვნელობით მეორე ადგილზე მართებულად გამოაცხადა იმერეთის სამეფო სახლი, ხოლო ამ სახლის მეთაურად კანონდარღვევით ქ-ნი ნინო ბაგრატიონი აღიარა, თანაც არა თავისი გვარით, რომელიც პასპორტში ეწერა, არამედ სხვისი — ბაგრატიონ-იმერეტინსკის გვარით. ამავე დროს, ქ-ნ ნინოს ბაგრატიონ-იმერეტინსკების სამეფო სახლის სახელით მოაწერინეს ხელი მემორანდუმზე, მიუხედავად იმისა, რომ ამ სახლის წევრები დიდი ხნის წინათ ამოწყდნენ, 1901 წლის შემდეგ მათ შესახებ არაფერი გვსმენია.

ცხადია, ამ ხელმოწერას იურიდიული ძალა არა აქვს. მემორანდუმში, ყოველგვარი საბუთის გარეშე, სიყალბე ჩაწერეს, თითქოსდა, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამას, დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს გვარში უფროსობა 1900 წელს, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ გადაეცა. სინამდვილეში, იმერეტინსკებს თავისი გვარის გამგრძელებლები ჰყავდათ და უფროსობა სხვისთვის არ გადაუციათ. როგორც ვთქვით, ამ ოჯახის შთამომავალი ქალბატონები ინგლისში ცხოვრობენ. უმნიშვნელოვანესი ფაქტია, რომ მემორანდუმის შესახებ ინგლისში მცხოვრებ იმერეტინსკებს მიზანმიმართულად არ შეატყობინეს, მიუხედავად იმისა, რომ ქ-ნი ნინო ბაგრატიონის ოჯახს მათთან დღემდე აქვს ურთიერთობა და შესაბამისად, მათი კოორდინატებიც იცის. ცხადია, ვერ ეტყოდნენ, თქვენი სტატუსი მივითვისეთ და გიხაროდეთო!

მემორანდუმის შემდგენელი ი. ბიჭიკაშვილი ამახინჯებს ფაქტებს, როდესაც იმერეთის ბაგრატიონთა სამი შტოსათვის უგანათლებულესი თავადის წოდების მინიჭების წლად, მცდარად, ერთსა და იმავე 1865 წელს ასახელებს, რათა ისინი უფლებრივად გაათანაბროს. სინამდვილეში, 1865 წელს უგანათლებულესი თავადის წოდება იმერეთის ბაგრატიონების უმთავრეს შტოს, იმერეტინსკებს მიენიჭათ, ბაგრატიონ-იმერეტინსკებს კი 1876 წელს. ხოლო ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპრის, თავად ივანე დავითის ძე ბაგრატიონის შესახებ, 1871 წლის 1 ნოემბერს, მეფისნაცვალს სამთავრობო სენატიდან გამოეგზავნა იმპერატორის ბრძანება, სადაც ნათქვამია, რომ **ხსენებული ტიტულის მიღების უფლება საქართველოს და იმერეთის ყოფილი სამეფო სახლების მხოლოდ იმ შთამომავლებს ჰქონდათ, რომლებიც რუსეთის მთავრობის მიერ განსაკუთრებულ მდგომარეობაში იყვნენ ჩაყენებული, „ხოლო ამგვარი შთამომავლების რიცხვს თავადი ალექსანდრე ბაგრატიონი არ მიეკუთვნება...“** (სეა, ფონდი 416, აღწერა 3, საქმე 169). ყურადსაღებია, რომ იმპერატორი თავადს ბაგრატიონის გვარით იხსენიებს. ივანეს შვილმა, ალექსანდრე ბაგრატიონმა განაგრძო ბრძოლა და 1881 წლის 15 ივლისის დადგენილებით, თავად ალექსანდრე ივანეს ძე ბაგრატიონს „უგანათლებულესობის“ ტიტული ებოძა. გვარი კი იგივე დარჩა — ბაგრატიონი და არა ბაგრატიონ-იმერეტინსკი, როგორც ახლა ი. ბიჭიკაშვილს სურს, დაამტკიცოს.

„ბაგრატოვანთა სახლის“ წევრებმა ამდენი სიყალბეც არ იკმარეს, უხეშად დაამახინჯეს იმერეთის ისტორია: XIX საუკუნის I მეოთხედიდან უკვალოდ გაქრეს 1810 და 1819-1820 წლების აჯანყებები. თურმე, იმერლები 1810 წელს მეფე სოლომონის დასაბრუნებლად კი არ იბრძოდნენ, არამედ ქართლ-კახეთის სამეფო ოჯახის წევრი სურდათ მეფედ! ბაგრატიონთა დინასტიისადმი ტრადიციული პატივისცემის გამო, რამდენიმე ცნობილმა პირმა ისე მოაწერა მემორანდუმზე ხელი, რომ როგორც ჩანს, დოკუმენტი გულდასმით არ წაიკითხა. „ბაგრატოვანთა სახლმა“ მემორანდუმის შესახებ იმერეტინსკების გარდა, გიორგი XII-ის შთამომავალი, მოსკოვში მცხოვრები გრუზინსკების ოჯახიც, ნამდვილი ბაგრატიონები (როგორც დოკუმენტებით, ისე დნმ-ით), 2006 წლიდან დღემდე, მიზანმიმართულად არ ჩააყენა საქმის კურსში, რაზეც გვაქვს ქ-ნი ეკატერინე გრუზინსკის წერილობითი პასუხი.

ბაგრატიონთა მუხრანული მრავალრიცხოვანი შტოდან მემორანდუმს მხოლოდ ორი წარმომადგენელი აწერს ხელს: აწ განსვენებული ქ-ნი რუსუდან ბაგრატიონი და ესპანეთში მცხოვრები ქ-ნი მარიამ ბაგრატიონი, რომელსაც, სხვათა შორის, ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის დაჯგუფებამ თანადგომა კარგად დაუფასა: მის მამაზე, პაპასა და მამიდებზე ჭორები შეკრიბა, ყველა ცოდვა დააბრალა და გამოაქვეყნა. საგაზეთო პასუხი კი მხოლოდ მე გავეცი და ეს ადამიანები ცილისწამებისგან დავიცავი (რის შემდეგაც ქ-ნმა მარიამმა ხელი მოაწერა კოლექტიურ პასკვილს ჩემს წინააღმდეგ!). მემორანდუმზე ასევე არ მოუწერიათ ხელი იმერელ ბაგრატიონებს — ირაკლი გრიგოლის ძეს, დავით, ირაკლი, ქეთევან, თამარ, ნარგიზ და მაია ბაგრატიონებს. 2014 წელს, მემორანდუმს შეუერთდა ბაგრატიონ-დავითიშვილების აზნაურული შტოს 65 წარმომადგენელი (რომელთა ბაგრატიონობას, იოსებ ბიჭიკაშვილის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე, გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, აწ განსვენებული ბატონი იური ჩიქოვანი არ იზიარებდა). მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი უმრავლესობის საპასპორტო მონაცემებში ჯერჯერობით მხოლოდ დავითიშვილის გვარია დაფიქსირებული, ყველა მათგანმა ბაგრატიონი-დავითიშვილის გვარით მოაწერა ხელი, რაც დოკუმენტს ყოველგვარ იურიდიულ ძალას აკარგვინებს.

2012 წელს რუსთაველის სამეცნიერო ფონდის ხელშეწყობით გამოვეცი მონოგრაფია „იმერეთის სამეფოს გაუქმება, იმერეთის 1819-1820 წლების აჯანყება და იმერეთის ბაგრატიონები“, რომელშიც სხვა საკითხებთან ერთად, დოკუმენტებზე დაყრდნობით, გავმიჯნე იმერეთის ბაგრატიონთა სხვადასხვა შტოების წარმომადგენლები და მათი ისტორია გადმოვეცი. გამყალბებლებმა ჩემში საშიში ოპონენტი დაინახეს და შარი მომიდეს. ი. ბიჭიკაშვილმა 2016 წელს გამოცემულ ნაშრომში განაცხადა, მ. ხომერიკმა თარგმნისას ისტორიული დოკუმენტი დაამახინჯა, სიტყვა Уроженец **მცხოვრებლად** უნდა ეთარგმნაო. ი. ბიჭიკაშვილის მიერ შემოთავაზებული თარგმანი არც რუსულ-ქართული ლექსიკონით დასტურდება და არც საქმის ვითარებას გადმოსცემს: იმერელი როსტომ ბაგრატიონი აჯანყებაში მონაწილეობის გამო, რუსეთში გადაასახლეს, ის წლების მანძილზე პეტერბურგში ცხოვრობდა, მაგრამ იმერეთის მკვიდრი იყო და თავის მშობლიურ კუთხეში დაბრუნებას ითხოვდა. ის რომ იმ დროს იმერეთის მცხოვრები ყოფილიყო, მაშინ ხომ პრობლემაც არ იარსებებდა! ჩემ მომართ ასეთი აბსურდული ბრალდება ბ-მა ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკიმ თავის სამეფო გვერდზე გამოდო.

„ბაგრატოვანთა სახლი“ განსაკუთრებით „მაცნეში“ (2017 წლის №2) გამოქვეყნებულმა ჩემმა წერილმა გააღიზიანა, რომელშიც იმერეთის ბაგრატიონებთან დაკავშირებულ უზუსტობებს შევეხე. მაგალითად, აღვნიშნე, რომ თუ მემორანდუმში დაფიქსირებულია ყალბი ვერსია, რომლის თანახმად, ქ-ნი ნინო ბაგრატიონის მამას, დავით ალექსანდრეს ძე ბაგრატიონს, გვარში უფროსობა 1900 წელს, ვარშავის გენერალ-გუბერნატორის ალექსანდრე იმერეტინსკის გარდაცვალების შემდეგ გადაეცა, თავის ახალ ნაშრომში ი. ბიჭიკაშვილმა ახალი ყალბი ვერსია მოიგონა, ვითომდა, ამ პიროვნებას გვარში უფროსობა 1901 წელს, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკისგან გადაეცა. ანუ, ი. ბიჭიკაშვილის ახალმა სიცრუემ ძველი, მემორანდუმისეული ტყუილი გააბათილა.

მიუხედავად ამისა, გაბათილებულ მემორანდუმზე ხელმოწერები მაინც გრძელდებოდა. ამავე დროს, ი. ბიჭიკაშვილი თავის ფანტაზიაზე დაყრდნობით წერს, თითქოსდა, ალექსანდრე ალექსანდრეს ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი, რომელიც 1901 წელს 21 წლის იყო, „უცოლშვილოდ გარდაიცვალა“ და გარკვევით უთითებს მისი სიცოცხლის პერიოდს (1880-1901), ხოლო თავისივე შედგენილ ტაბულაში გარდაცვალების წელს კითხვის ნიშნით აღნიშნავს, რადგან ცნობილი არ არის. საგაზეთო წერილი არ იძლევა ყველა იმ შენიშვნის მოყვანის საშუალებას, რაც წერილში მაქვს აღნიშნული. პასუხად, „ბაგრატოვანთა სახლმა“ შემრისხა. გამოაქვეყნეს კოლექტიური პასკვილები, სადაც მხოლოდ პეტრე ბაგრატიონის პორტრეტ-

თან დაკავშირებული ინციდენტი შეესაბამებოდა სიმართლეს, ისიც ნაწილობრივ, რადგან ჩემმა ოპონენტებმა არ ახსნეს, რომ ეს შეცდომა ჩემგან კი არ მოდიოდა, არამედ ლონდონის ერთ-ერთი აუქციონიდან, სადაც 1806 წელს, ფრანგი მხატვრის ანტუან კემანის მიერ შესრულებულ პორტეტს, პეტრე ბაგრატიონის ნაცვლად, სიმონ ბაგრატიონი დააწერეს და ასეც გაყიდეს 3700 გირვანქა სტერლინგად.

შეცდომა იმით იყო გამოწვეული, რომ პორტრეტის ჩარჩოზე, უკანა მხრიდან, დატანილი ყოფილა XIX საუკუნეში შესრულებული ინგლისურენოვანი წარწერა: „პრინცი სიმონ ბაგრატის ძე ბაგრატიონ-იმერეტინსკი (1771)“, რაც თავისთავად საინტერესო და შესასწავლი ფაქტია. მთავარი კი ის არის, რომ მას შემდეგ, რაც მე ეს შეცდომა ლიტერატურის მუზეუმში გავიმეორე, გავარკვიე სიმართლე და ჩემს წიგნში „სიმართლე „ბაგრატოვანთა სახლის“ ისტორიკოსის პირისპირ“, 47-ე გვერდზე, წერილობით დავაფიქსირე, რომ ინგლისში პეტრე ბაგრატიონის პორტრეტს შეცდომით დააწერეს სიმონის სახელი. და ამის შემდეგ რაღა საჭირო იყო ჩემი ვითომდა „მხილება“ და კოლექტიური აღშფოთება? ამით, ჩემი კომპრომეტირება და გაჩუმება ჰქონდათ ჩაფიქრებული

„სადამსჯელო ოპერაციებს“ თავად ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკი ხელმძღვანელობდა. მან წინასიტყვაობა დაურთო ი. ბიჭიკაშვილის წიგნს ბაგრატიონი-დავითიშვილების აზნაურული შტოს შესახებ, სადაც დანართში, ჩემი საწინააღმდეგო პუბლიკაციებია შეტანილი. ნუგზარ ბაგრატიონი-გრუზინსკის მტკიცებით, იოსებ ბიჭიკაშვილის მიმართ წამოყენებული ბრალდებები უსაფუძვლო იყო, რაზეც მას ამომწურავი პასუხები გაუცია. ბ-ნმა ნუგზარმა უნდა განმარტოს, ცნობილი იყო თუ არა მისთვის, რომ ი. ბიჭიკაშვილი დოკუმენტებს აყალბებდა. მოვიყვან თუნდაც ერთ მაგალითს: ი. ბიჭიკაშვილმა, იმის დასამტკიცებლად, რომ ქ-ნი ნინო ბაგრატიონის წინაპარი, ივანე ბაგრატიონი, ვითომდა, ბაგრატიონ-იმერეტინსკი იყო, თავის საპასუხო წერილში (მაცნე, 2018, №1, გვ. 214) დაიმოწმა ამონარიდი დოკუმენტიდან, რომლის თანახმად 1850 წელს, ვინმე პოდპორუჩიკი ბაგრატიონ-იმერეტინსკი იხსენიება, ინიციალების გარეშე. მითითებულია ქუთაისის არქივი, ფონდი 1, აღწერა 1, საქმე 3556.


3556 | 66 | Подпоручика князя Багратиона Георгия Николаевича о зачислении сына его Димитрия к роду и семейству его 1890-13/VII | 4


ფორმა № 1
31
დეკრეტი № 28 მე-4 მუხლის დანართი
დაბადებათა ჩასაწერი წიგნი VIII-22 წელი.
მოქალაქობრივ მდგომარეობის აქტებში ჩამწერი განყოფილება
რევოლიუციონურ კომიტეტთან
1. ჩაწერის № 671
2. დაბადების თვე და რიცხვი 28 მარტი 1920 წ.
3. დაბადების ადგილი ქ. ბორჯომი
4. ბავშვის სქესი მამრობელი
5. ბავშვის სახელი და გვარი პეტრე გრუზინსკი
6. მშობლების სახელი, მამის სახელი, გვარი პეტრე გრიგოლის ძე, ანა გრიგოლის ასული გრუზინსკი
ხელობა გლეხები
7. ბავშვის ეროვნება ქართველი
8. მშობლების მუდმივი ბინადრობა ბორჯომი
9. მშობლების წლოვანობა 68-30
10. აღნიშნულ მშობლების მერამდენე ბავშვია პირველი
11. განსაკუთრებული შენიშვნები 2 ოჯ
ხელის მოწერა 1) იმ პირისა, რომელმაც აცნობა
2) მოწმეთა
3) თანამდებობის პირის, რომელმაც ჩაწერა

ინგლისურენოვანი ინფორმაციის ეჭვქვეშ დაყენებას, ეს ინფორმაცია ინგლისურ-ქართულ ლექსიკონში ჩახედვა არ გნებავთ, იქნებ ორთოგრაფიულ ლექსიკონში მაინც ჩაიხედოთ: **მბრალდებელთა** კი არა **ბრალმდებელთა!** ერთი ბრალმდებელი, გენეალოგიური საზოგადოების თავმჯდომარე, ბატონი იური ჩიქოვანი, 12 ნოემბერს სამუდამოდ გამოგაკლდათ! ჩემგანაც იმავეს ნუ ელით. პირიქით, გადავწყვიტე საზოგადოებისთვის მძიმედ მოსასმენი სიმართლე მეთქვა და ერთსაუკუნოვანი სიყალბისთვის ფარდა ამეხადა:

მეფე გიორგი XII-ის პირდაპირი შთამომავალი პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი 1915 წელს დაქორწინდა. საეკლესიო ჩანაწერიდან ჩანს, რომ იმავე წლის 29 ნოემბერს მას შეეძინა ვაჟი, კონსტანტინე, რომელიც 6 დეკემბერს მონათლეს (სეა, ფონდი 489, აღწერა 7, საქმე 1967). აქვე უნდა ითქვას, რომ შემდგომში, 1939 წელს, კონსტანტინე გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა. 1920 წლის 28 მარტს, ოჯახში მეორე ვაჟი გაჩნდა. მისი დაბადების საეკლესიო ჩანაწერი, ან პეტრე ალექსანდრეს ძის მიერ ხელმოწერილი მამობის დამადასტურებელი რაიმე საბუთი არ არსებობს. როგორც ჩანს, მან გონივრული ეჭვის გამო, ეს ბავშვი, კონსტანტინესგან განსხვავებით, შვილად არ სცნო. პეტრე ალექსანდრეს ძე 1922 წლის 4 თებერვალს გარდაიცვალა (იხ. უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივის ცნობა №018026785-03). მისი გარდაცვალებიდან 4 თვის შემდეგ, 1922 წლის 27 ივნისს, გაკეთდა 2 წლის პეტრე პეტრეს ძე გრუზინსკის დაბადების პირველადი ჩანაწერი. „მშობლები: მამა — პეტრე ალექსანდრეს ძე გრუზინსკი — 68 წლის (თითქოსდა, ცოცხალი იყო — მ.ხ.), დედა — თამარა ალექსანდრეს ასული გრუზინსკი — 30 წლის (იხ. უახლესი არქივის ცნობა №2018026368-04). „მამის“ გარდაცვალების შესახებ არ განუცხადებიათ, წინააღმდეგ შემთხვევაში საჭირო იქნებოდა მოწმეების წარდგენა.

საქმის სერიოზულობიდან გამომდინარე, არ დავკმაყოფილდი ოფიციალური ცნობით და დედანს გავეცანი. **როგორც ვხედავთ, მოწმეების გრაფა ცარიელია. ცრუმოწმეობა არავინ ისურვა. დასკვნა ნათელია: ბაგრატიონი, რომლის მოტყუებაც ვერ შეძლეს, გარდაცვალების შემდეგ ცოცხლად გაასაღეს და სავარაუდოდ, სხვისი შვილი მიაწერეს. ჩემი განცხადების პასუხად, არქივმა მაცნობა (№ 02-3/141393), რომ 1922 წლის საქტო ჩანაწერში, „ინფორმაცია 1920 წლის 28 მარტს დაბადებული პეტრე გრუზინსკის 1922 წელს რეგისტრაციის საფუძვლის შესახებ არ არის მითითებული.“**

ეს საარქივო ცნობები ბ-ნი ნუგზარის ბაგრატიონობას თუ არ გამორიცხავს, ეჭვქვეშ მაინც აყენებს. აი, რატომ ებრძვის დოკუმენტებში ჩახედულ ადამიანებს! აი, რატომ გახდა დოკუმენტების გამყალბებელი იოსებ ბიჭიკაშვილის თანამზრახველი და მფარველი! აი, რატომ გვებრძოდნენ ნუგზარ ბაგრატიონი და მისი დაჯგუფება მე და ბატონ იური ჩიქოვანს! ჩვენ მიერ გამოთქმულ შენიშვნებს პროვოკაციურად, აშკარად პოლიტიკურ, ანტიეროვნულ სარჩულს უდებდნენ და რუსეთის იმპერიალისტურ ზრახვებს უკავშირებდნენ, მაგრამ ამ იაფფასიანმა სვლებმა ჩვენ ვერ შეგვაჩერა. ი. ბიჭიკაშვილი მიცხადებდა: **„მე პირადად არ მოგცემთ იმის საშუალებას, რომ დააკნინოთ 2006 წლის მემორანდუმის მნიშვნელობა და მისი ისტორიული ფასეულობა...“**

ვფიქრობ, ამდენი სიყალბის შემცველი მემორანდუმის ფასეულობა ნულს უტოლდება! ბ-ნი ნუგზარისთვის კი თეორიულად, ჯერ ყველაფერი დამთავრებული არ არის, თუ დნმ-ის ანალიზს ჩაიტარებს და თავის ბაგრატიონობას დამტკიცებს, მაგრამ ამის ალბათობა ძალიან დაბალია, რადგან გასაგები მიზეზების გამო, ის ტესტის ჩატარებაზე არ თანხმდება.

მანანა ხომერიკი,
ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი

დიპლომატები „ზედაზნის“ ქარხანას ეწვივნენ

„ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოსა“ და ქართული ლუდის კომპანიის, „ზედაზნის“ ორგანიზებით, „ზედაზნის“ ქარხანას უცხოელი დიპლომატები და ბიზნეს სექტორის წარმომადგენლები ეწვივნენ.

ვიზიტის ფარგლებში, მონაწილეებმა „ზედაზნის“ ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების თანამედროვე, ევროპული სტანდარტების მქონე, უახლესი ტექნოლოგიებით აღჭურვილი ქარხანა დაათვალიერეს და განიხილეს ასოცირების ხელშეკრულებით ქართული ბიზნესისთვის გახსნილი სხვადასხვა პერსპექტივები.

„საქართველოში საქმის კეთება შესაძლებელია — ეს არის კომპანია „ზედაზენის“ დამფუძნებლის, ბატონ ცეზარ ჩოჩელის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინიციატივა. დღეს ჩვენ ვიხილეთ თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ქარხანა, დავესწარით წარმოების პროცესს და დავრწმუნდით, რომ „ზედაზენის“ წარმოებული პროდუქციის ხარისხი მართლაც საუკეთესოა“, — განაცხადა საქართველოს ევროპის ბიზნეს საბჭოს გენერალურმა მდივანმა ზვიად ჭუმბურიძემ.

„ქართული ლუდის კომპანიას“ აქვს ამბიცია, იყოს ლიდერი არა მარტო ქართულ ბაზარზე, თავისი წარმოებული პროდუქციის ხარისხით, არამედ ქვეყნის გარეთაც. შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია, როდესაც ამა თუ იმ ქვეყნის წარმომადგენელს უშუალოდ აცნობ, თუ სად და როგორ ხდება პროდუქციის წარმოება, რაც წარმოადგენს ამ წარმოების ძირითად ფუნდამენტს“.

საგყეო მეურნეობებს სპეციალური აღჭურვილობა გადაეცათ

რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთის სატყეო სამსახურს ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდმა (WWF) სპეციალური აღჭურვილობა გადასცა. პროექტი, რაჭისა და ერუშეთის ტერიტორიებზე, გერმანიის ეკონომიკური განვითარების და თანამშრომლობის სამინისტროს (BMZ) ფინანსური მხარდაჭერით, ბუნების დაცვის მსოფლიო ფონდის(WWF) კავკასიის ოფისის მიერ, მესამე წელია, ხორციელდება.

პროექტის მიზნად ისახავს ადგილობრივი ბიომრავალფეროვნების დაცვას ბუნებრივი რესურსების მართვის ხარისხის გაუმჯობესებითა და მდგრადი მეტყეევეობის დანერგვის მეშვეობით, რაც შეაჩერებს ტყის ეკოსისტემის დეგრადაციას და ხელს შეუწყობს ადგილობრივი მოსახლეობის საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესებას.

საღ ნაიყვან საღაშრსა...

წინათქმა

ბედნიერება მქონდა, ამ დღეებში ვაჟიშვილისა და რძლის მიწვევით მძახალთან — თენგიზ ახალაძესთან ერთად საიუბილეო თარიღები: დაბადების 75 და ჟურნალისტიკაში მოღვაწეობის 40 წლისთავი საფრანგეთში აღმენიშნა.

მკითხველს არ გადავღლი ორკვირიანი მოგზაურობის პერიპეტიებით, პარიზში — ხელოვნებისა და სიყვარულის ქალაქში განცდილი ემოციების, ეიფელის კოშკისა და ლუვრის დიდებული მუზეუმის, ბორდოს — მეღვინეობის ამ უდიდესი ცენტრის ღირსშესანიშნაობების ხილვით მიღებული შთაბეჭდილებების გადმოცემით. ჩვენს ვრცელ მარშრუტზე მეგზურობას შვილიშვილი, ბორდოს უნივერსიტეტის სტუდენტი იზეტა კანკაძე გვიწევდა.

მთავარი, რის შესახებაც მსურს, გიამბოთ, ლევილის ქართულ მამულში ჩვენი სტუმრობა გახლდათ, რომელიც თანასოფლელი მეგობრის თემურ .დოლაბერიძის თხოვნით დავგეგმეთ: უნდა მოგვეძია ცხრაასოციან წლებში ემიგრაციაში იძულებით გადახვეწილი მისი სახელოვანი პაპის გერმანე წივწივაძის საფლავი (ბატონი გერმანეს ცხოვრებისა და მოღვაწეობის თაობაზე 1991 წლის 17 აგვისტოს ერთ-ერთ გაზეთში საკმაოდ ვრცელი წერილი მქონდა გამოქვეყნებული და მეტ-ნაკლებად ვიცნობდი მის ბიოგრაფიას).

ქვეყნის დედაქალაქიდან ორმოციოდე კილომეტრით დაშორებულ ამ პატარა დაბაში ჩასულები ქუჩაში გამვლელმა ხანდაზმულმა ფრანგმა მაღალი გალავნით გარშემორტყმულ ძველებურ შატოსთან მიგვიყვანა. ჩვენს დაძახილზე სიმპათიურმა მამაკაცმა გამოიხედა, ალბათ გარეგნული იერით შეგვიცნო და წამოიძახა: ქართველები ხართ?

დიახ-თქო რომ დავუდასტურეთ, სიხარულით გამოგვეგება. იგი საფრანგეთში მოგვიანებით, 80-იან წლებში დამკვიდრებული ჩვენი თანამემამულე, პროფესიით მეტყევე ინჟინერი ირაკლი შარაშენიძე აღმოჩნდა. მასპინძელმა მისალმების შემდეგ შატოს დარბაზში შეგვიპატიჟა, გვესაუბრა ემიგრანტთა სათვისტომოს საქმიანობისა და სამომავლო გეგმების შესახებ, თბილად მოიხსენია ძველი წყალტუბოელი მეგობრები (რომელთა უმეტესობა დღეს ცოცხალი აღარაა).

ხალვათად მოწყობილ ამ მუზეუმში ინახება ორ ეგზემპლარად შედგენილი საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის დედანი (მეორე საქართველოშია ჩამოტანილი), საუკუნის წინანდელი შინდისფერი დროშა, კედლებზე გაკრულია დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის წევრთა პორტრეტები, თაროებზე გამოფენილია იმდროინდელი ჟურნალ-გაზეთები, საყოფაცხოვრებო ნივთები...

ცოტა ხანში გადავინაცვლეთ ქუჩის მეორე მხარეს მდებარე სასაფლაოსკენ, სადაც განისვენებენ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ყოფილი თავმჯდომარე ნოე ჟორდანია, მაშინდელი თვალსაჩინო პოლიტიკური მოღვაწეები ნოე რამიშვილი, ევგენი გეგეჭკორი, აკაკი ჩხენკელი, ირაკლი წერეთელი, ნოე ხომერიკი, კარლო ჩხეიძე და სხვები. აქვეა ნიკო ნიკოლაძის შთამომავლის, საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატის სალომე ზურაბიშვილის მშობლების ზეინაბ კედიასა და ლევან ზურაბიშვილის საფლავები.

მადლიერებით უნდა აღინიშნოს, რომ ჩინებულადაა მოვლილი ჩვენი სისხლისა და ხორცის საუკუნო ძვალთშესალაგი, საფლავებზე მუდამ აწყვია ცოცხალი ყვავილები, აქაურ ქართულ ეკლესიაში მამა დავითი ხშირად აღავლენს წინაპართა სულების მოსახსენიებელ წირვა-ლოცვას. ყოველ 26 მაისს ლევილში ემიგრანტების ნაშიერთა მონაწილეობით დიდი ზეიმი იმართება...

თანამგზავრები მთელ ტერიტორიაზე გავნაწილდით და შევუდექით საფლავების დათვალიერებას. შემოდგომის ქარ-წვიმა ხელს გვიშლიდა წარწერების გარჩევაში. და აი, გვესმის ჩემი ვაჟის — მერაბის ძახილი: არის! ყველანი იმ ადგილისკენ მივიჩქარით. ქაქუცა ჩოლოყაშვილის ყოფილი საფლავის ახლოს (რომელიც ძველებურადაა შემონახული) მუქი წითელი მარმარილოს ფილაზე ფრანგულ ენაზე ამოკვეთილია გერმანე წივწივაძის სახელი და გვარი, დაბადებისა და გარდაცვალების თარიღები: 1892-1958. ფილის თავთან მიკრულ სურათზე წარწერაა: „ჩემი ერთგული ალექსანდრე მე დავტოვე მარტო, იმედგარეშე“, ხოლო ქვემოთა მხარეს იკითხება „ალ. მელქაძე. 1901-1976“ (თუ ვინ იყო ალექსანდრე მელქაძე, ამის შესახებ ცოტა მოგვიანებით მოგახსენებთ).

გერმანეს საფლავზე დავდეთ ყვავილები, ოჯახიდან წამოღებული ჩურჩხელები, ქართული ღვინით სიმბოლურად შევსვით მისი და სხვა ემიგრანტების ხსოვნის სადღეგრძელო, გადავიღეთ ფოტოსურათები, საქართველოში მალე ნახვის სურვილით დავემშვიდობეთ ბატონ ირაკლის.

გულდამძიმებული ვტოვებდით მამულს მოწყვეტილ წინაპართა სავანეს და თითქოს უკან მოგვყვებოდა პრინც გიორგი დადიანის (1912-1985) საფლავზე ოქროს ასოებით ამოტვიფრული ეპიტაფიის სიტყვები:

„მითხარ შენდობა და ჩემს მხარესა
ოდეს მოუთხრობ ამბებს მწარესა,
სთქვი, რომ წარწერა იხილე ლოდზე,
ძვლებიც კი ჰფიქრობს
საქართველოზე“...

საფრანგეთიდან დაბრუნებულმა ცხელ კვალზე, სარედაქციო არქივში მოვიძიე ჩვენი გაზეთის 27 წლის წინანდელი პუბლიკაცია და ახალ მასალასთან შეჯერებით გადავწყვიტე, ამჯერად, როგორც თვითმხილველმა, კიდევ ერთხელ მოვუთხრო ჩვენს ერთგულ მკითხველს სამშობლოს თავისუფლებისთვის მებრძოლი ვაჟკაცის ტრაგიკული ისტორია.

იქ, ლევილის ძვალთშესალაგში...

მაღლაკში ყოველთვის მოკრძალებით წარმოთქვამენ გერმანე წივწივაძის სახელს, თუმცა მის თანამედროვეთა მომსწრეს სოფელში დღეს ვერავის შეხვდებით. ადრე ამ სახელის ხსენებაც კი ერთგვარ შიშს იწვევდა, მაგრამ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ საზღვარგარეთთან დაკავშირებულ ყველა აკრძალვას ტაბუ მოეხსნა.

მაინც ვინ იყო ეს პიროვნება და რით დაიმსახურა შთამომავლობის პატივისცემა?

გერმანე წივწივაძე დაიბადა დაბა ხონში 1892 წელს. პატარაობიდანვე რევოლუციურ ტრადიციებზე იზრდებოდა, ბოლოს მენშევიკების იდეებს ეზიარა. როცა ჩვენმა ქვეყანამ რუსეთის იმპერიის საუკუნოვანი მონობისგან თავი დაიხსნა და დაკარგული დამოუკიდებლობა აღიდგინა, იგი დემოკრატიული საქართველოს ერთ-ერთი აქტიური მშენებელთაგანი და სახალხო ხელისუფლების ერთგული დამცველი გახდა, ხელმძღვანელობდა ხონის მილიციის განყოფილებას.

1920 წელს გერმანემ მაღლაკელ ლიდა დოლაბერიძეზე იქორწინა. იგი ხშირად ჩამოდიოდა სტუმრად სიმამრთან, საქმეში ერთგულმა და შრომისმოყვარემ მოლხენაც ვაჟკაცური იცოდა. ერთი წლის შემდეგ ვაჟი შეეძინათ, რომელსაც კუკური დაარქვეს.

1921 წლის თებერვალ-მარტში საბჭოთა რუსეთის სამხედრო ოკუპაციისა და საქართველოს ძალით გაწითლების შემდეგ ეროვნულ მთავრობასთან ერთად ბევრი პატრიოტი იძულებული გახდა, საზღვარგარეთ გახიზნულიყო იმ იმედით, რომ იქიდან გაეგრძელებინა ბრძოლა დაკარგული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის აღსადგენად... მაგრამ გერმანე წივწივაძემ წინააღმდეგობის სხვა გზა აირჩია. იგი დარჩა საქართველოში, თითქოს ლოიალობა გამოუცხადა საბჭოთა ხელისუფლებას, მუშაობა გააგრძელა მილიციის ორგანოებში, ფაქტიურად კი თანამოაზრეთა შორის არალეგარულად კონსპირაციულ მოღვაწეობას ეწეოდა.

1924 წლის გაზაფხულზე ქალბატონ ლიდას გოგონა შეეძინა. მამამ ასულს წმინდა ნინოს სახელი დაარქვა. მალე საბჭოთა წყობილების დასამხობად საქართველოში დაიწყო აგვისტოს ცნობილი ამბოხება, რომელიც არაორგანიზებული ხელმძღვანელობისა და გამცემლობის გამო მარცხით დამთავრდა. ქვეყნის ყველა კუთხეში დატრიალებულმა სისხლიანმა ამბებმა აიძულა დასაღუპავად განწირული, სხვაგვარად მოაზროვნე ქართველთა ახალი ტალღა სამშობლოდან ცოტა ხნის წინ წასულ პოლიტიკურ ემიგრაციას შეერთებოდა. მათ შორის იყო გერმანე წივწივაძეც. როცა შეიარაღებული გამოსვლების მონაწილეთა და მათი მხარდამჭერების დაპატიმრება და დახვრეტა დაიწყო, ხონის მილიციის უფროსი ორ თანამშრომელთან ერთად თურქეთში გაიქცა. ერთი თანმხლები მესაზღვრეებმა მოუკლეს, გერმანე და ალექსანდრე მელქაძე კი სამშვიდობოს გავიდნენ, ცოტა ხანში საფრანგეთში ჩააღწიეს. დაიწყო ქართველ მამულიშვილთა სამშობლოდან იძულებითი ლტოლვილობა, რომელიც დიდხანს გაგრძელდა...

გაქცევის მეორე დღესვე ოჯახს თავს დაესხნენ „ჩეკას“ წარმომადგენლები, რაც უცნაურია, შეიარაღებულ დამსჯელ რაზმს გერმანეს ძმა — ბოლშევიკი ვახტანგ წივწივაძე ხელმძღვანელობდა. მთელი სახლი გაჩხრიკეს და დაარბიეს. გერმანეს მეუღლეს — ლიდას საბჭოთა ხელისუფლებისადმი ეზიზღებოდა, ახლავე გაგათავებთ, თუ არ იტყვი, სად იმალება შენი ქმარიო.

სამწუხაროდ, ახლობლებმა მართლაც არ იცოდნენ გერმანეს ადგილსამყოფელი, იგი დაღუპული ეგონათ. მოსალოდნელი საფრთხის გამო მისი ყველა ნივთი და ფოტოსურათი გაანადგურეს. ოჯახს მაინც არ აძლევდნენ მოსვენებას, ხშირად აკითხავდნენ და ემუქრებოდნენ, მალე კი ხონში სახლიც ჩამოართვეს და გზა-შარაზე დატოვეს. ქალბატონი ლიდა იძულებული გახდა, პატარა ქალ-ვაჟთან ერთად მაღლაკში მშობლებთან დაბრუნებულიყო. ტარიელ დოლაბერიძე მაშინდელ პირობაზე შეძლებულ გლეხკაცად ითვლებოდა, იქ არ გაუჭირდებოდათ ცხოვრება...

გადიოდა დღეები, თვეები, უმამოდ იზრდებოდა და-ძმა. ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ ბიჭი ავად გახდა, სად არ ატარეს ექიმებთან, ბოლოს დიაგნოზი — თავის ტვინის მენინგიტი დაუდგინეს, მაგრამ დაგვიანებულმა მკურნალობამ სასიკეთო შედეგი ვერ გამოიღო, კუკური — ორ მეტრამდე სიმაღლის ვაჟკაცი სამუდამო ხეიბარი დარჩა...

1927 წლის მიწურულს მაღლაკის საფოსტო განყოფილებაში ლიდა დოლაბერიძის სახელზე უცხო წარწერიანი კონვერტი მოვიდა. გულისფანცქალით გახსნეს ოჯახის წევრებმა და გერმანეს ნაწერმა შემოანათათ. იტყობინებოდა, საფრანგეთში ვარ, პარიზში, ჩვენებურები აქ ბევრნი არიან, ჩემზე არ იდარდოთ, თავს გაუფრთხილდითო. მერე ცოლშვილის სახელზე დაიწყო ვალუტის გადმორიცხვა, რომელსაც ქუთაისში არსებულ „ტორგსინის“ დაწესებულებაში საბჭოთა მანეთებზე ახურდავებდნენ.

ეს მიწერ-მოწერა ავადსახსენებელ 37-იან წლებში შეწყდა, რადგან „სამშობლოს მოღალატის“ ახლობლებს ავი თვალით დაუწყეს ცქერა. რეპრესიებს ემსხვერპლა ლიდას ძმა — გრიგოლ დოლაბერიძე, რომელიც არც ერთ პოლიტიკურ პარტიას არ ეკუთვნოდა.

გავიდა რამდენიმე წელი. ქვეყანაში შექმნილ ტერორსა და განუკითხაობას ფაშისტურ გერმანიასთან ომიც დაერთო, რომელსაც მილიონობით ადამიანი შეეწირა. ნაკლები ომი არც ზურგში გადაუტანიათ. გაჭირვებაში ცხოვრობდნენ წივწივაძეებიც. ნინომ საბუღალტრო სასწავლებელი დაამთავრა და კოლმეურნეობაში მუშაობდა. 1945 წელს მან თავისი ბედი თანასოფლელ გალაქტიონ დოლაბერიძეს დაუკავშირა. მალე გაჩნდა პირველი სიხარული, თემურს ნიკოლოზი მოჰყვა, ძმებს — ნაბოლარა დოდო.

შვილიშვილებში ხარობდა ლიდა დოლაბერიძე. მეუღლეს გარდაცვლილად თვლიდა და საკურთხს უკეთებდა, მაგრამ სასწაული მეორედ აუცხადდა: გერმანელთა ტყვეობიდან დაბრუნებულმა მაღლაკელმა აკაკი ნიჟარაძემ ამ-

ბავი ჩამოიტანა, გერმანე პირადად ვნახე პარიზში, ჯანმრთელადაა, უთქვენობას ჯავრობდა მხოლოდო.

აკაკი ჩართული იყო საფრანგეთიდან ეროვნული განძის საქართველოში გადმოგზავნის კომისიაში, რომელშიც მამამისი – ემიგრანტი ნიკოლოზ ნიჟარაძეც შედიოდა. თურმე გერმანე წივწივაძე ურჩევდა, ჯერ ნუ დაბრუნდებით, არეულია ქვეყანა, ციმბირში არ გიკრანთავიო, მაგრამ ისე მძლავრობდა სამშობლოს ნახვის სურვილი, ვერ გადაათქმევინა. საქართველოში დაბრუნებული მამა-შვილი გადაასახლეს. ნიკოლოზის საფლავი საერთოდ დაიკარგა, ხოლო აკაკიმ მოახერხა დაბრუნება. შემდეგ იგი ჟურნალისტად მუშაობდა საქართველოს ტელერადიო კომიტეტში...

სასიხარულო ამბის შეტყობისთანავე წერილი აფრინეს პარიზში, მაგრამ პასუხი არ ჩანდა. მხოლოდ მოგვიანებით, 1956 წელს გაიგეს, რომ გერმანე ცოცხალია, მის გაზრდილთან და თანამებრძოლთან ალექსანდრე მელქაძესთან ერთად საფრანგეთის დედაქალაქში ცხოვრობს, ფლობს სასტუმროს...

ამჯერად კავშირი აღსდგა. როგორ გაიხარა ოჯახს დანატრებულმა ვაჟკაცმა ქალიშვილის ბედნიერების გაგებით. უცნობ სიძეს სიკეთე უსურვა, წამოჩიტული შვილიშვილები დალოცა. მომავალში მისი ადრესატი თემური იყო, წერილებში ისე ესაუბრებოდა, როგორც ტოლი – ტოლს.

ბადრიჯნის საცივი მენატრებაო, მოსწერა ერთხელ შვილიშვილს. პოლიტიკური კლიმატის დათბობის მიუხედავად იმ პერიოდში საფრანგეთში ამანათების გაგზავნის უფლებას არ რთავდნენ. რა უნდა ექნათ.

საპასუხო ბარათში თემურმა მიწერა: ბაბუ, ბადრიჯანი და ნიგოზი თუ იშოვება მაქეთო. როგორ არ იშოვება, ბაბუ, მაგრამ იმერეთში რომ საცივს აკეთებენ, მაინც სულ სხვააო...

ოჯახის წევრებთან დაუსწრებელი დიალოგი ხანმოკლე გამოდგა. გერმანე კუჭის კიბოთი დაავადდა, ოპერაციამ, სამწუხაროდ, უშედეგოდ ჩაიარა.

თემურ დოლაბერიძე ინახავს 1958 წლის 1 თებერვალს პარიზიდან გამოგზავნილ გახუნებულ ფურცელს, რომელსაც რელიკვიასავით უფრთხილდება:

„ძვირფასო, საყვარელო და დაუვიწყარო ქალიშვილო ნინიკო! შენ შემოგევლოს მამაშენი, რომ წერილი მოიწერე. ყოჩაღი ხარ ჩემსავით. ახლა ვწერ მიზეზს, რატომ წერილი არ გამოგიგზავნეთ. მე ძლიერ ავად ვიყავი ერთი წელია. ექვსი თვე ვიწექი საავადმყოფოში. დავკარგე ნახევარი სისხლი. ამომიჭრეს კუჭის ნაწილი და წელები. ამიტომ ვინ მოგწერდა წერილს. ალექსანდრე დარბოდა და ტიროდა, არ მოკვდეო: მივლის, როგორც ქალიშვილი. ახლა გამოვედი. ვართ სოფლად წასული. ექიმებმა გამომიწერეს სოფელი. 100 კილომეტრითაა მოშორებული პარიზიდან. ავად რომ გავხდი, არეული ვიყავი და დამეკარგა თქვენი სურათები, გადაიღეთ მთელი ოჯახით და გამომიგზავნეთ იმ კაცის სახელზე, მე რომ ადრე შეგატყობინეთ მისამართი. იგი ვაჭარია და ხშირად დადის ჩემთან.

სხვა ჯერჯერობით რა მოგწეროთ, ვრჩები თქვენი სიყვარულით გაუმაძღარი მამა გერმანე წივწივაძე“.

ამ ბარათს ცოტა ხანში მეორე მოჰყვა, რომელშიც გერმანე იტყობინებოდა, რომ ძლიერ სუსტად არის და საავადმყოფოში ხელმეორედ წვება. ეს იყო და ეს. მალე ოჯახმა შეიტყო მისი გარდაცვალების ამბავი.

ქართულმა ემიგრაციამ ღირსეულად დაიტირა ძვირფასი თანამემამულე და იგი ლევილის მიწას მიაბარა. მამობილის საქმეს გაუძღვა ალექსანდრე, რომელიც გამზრდელის საპატივცემულოდ მის გვარზე დაეწერა. მას კავშირი არ გაუწყვეტია გერმანეს ოჯახთან, გამოაგზავნა საფლავის სურათები, რომლებიც წერილებთან და სხვა ნივთებთან ერთად სამოცდაათიან წლებში ხის სახლში გაჩენილმა ხანძარმა შეიწირა.

თემურ დოლაბერიძეს ბაბუას ორი წერილის გარდა 1960 წლის თებერვალში გამოგზავნილი ალექსანდრეს ერთი ბარათიც შემორჩა, რომელშიც თვალნათლივ ჩანს სამშობლოსგან დაშორებული კაცის უდიდესი სევდა და ტკივილი:

„ჩემო ძვირფასო დაიკო ნინიკო, დიდი ხანია ველოდები თქვენს წერილს, მაგრამ ამაოდ. ამ ხნის განმავლობაში რამდენი მწუხარება იყო, რამდენი ცრემლი, არ ვიცი, რა მემართება. მხნე კაცის შეხედულება მაქვს, მაგრამ გული და გრძნობები – ბავშვის. უკეთ რომ ვთქვათ, არ მეგონა, თუ ასე დაჩაგრავდა კაცს მწუხარება. ეს ალბათ იმიტომ, რომ გერმანე იყო ჩემი ყველაფერი: დედაც, მამაც, ძმაც და მეგობარიც. მასთან ჩემი თავი ბავშვი მეგონა და დამტოვა ისეთი გრძნობით... რომ მომენატრება, გიჟივით გავეშურები მის საფლავზე და ვუალერსებ, ვწმენდ და ვუცვლი ყვავილებს.

ნინიკო! ძალიან მინდა, თუ შესაძლებელია ერთი-ორი სიტყვა მომწეროს ლიდამ. ეს იქნება ჩემთვის დიდი ნუგეში და იმედი, რომელიც ისე გამათბობს, როგორც ჩემი მამობილის შემოძახება. იმედი მაქვს, გამომეხმაურებით. თქვენი ერთგული ძმა ალექსანდრე“...

მალე გერმანეს სახელთან დამაკავშირებელი ეს სუსტი ძაფიც გაწყდა და ისტორიის კუთვნილება გახდა ოჯახისგან, მამულისგან იძულებით განშორებული ვაჟკაცის ცხოვრება, რომელმაც უცხოეთის ცის ქვეშ ჰპოვა თავშესაფარი.

ქალბატონმა ლიდამ ღირსეულად ზიდა უღალატო მეუღლის ტვირთი. ცხოვრებამ მას ბევრი ტანჯვა აგემა და ბოლოს უკანასკნელი სამსალაც შეასვა – ვაჟკაცის გარდაცვალების შემდეგ მოულოდნელად ხელიდან გამოეცალა ნინო. დედამ მწუხარებით დაიტირა ობლობაში გამოზრდილი ქალიშვილი და დაჰპირდა, რომ გერმანეს საფლავს აუცილებლად მოინახულებდა. ვაგლახ, რომ მოხუცმა ვერ მოასწრო დანაპირების შესრულება, იგი 97 წლის ასაკში მიიბარა მაღლაკის მიწამ.

ბებიას დანაბარების შესრულება უფროსმა შვილიშვილმა იკისრა, თემური თავის ვაჟკაცთან, ბესიკთან ერთად 1992 წელს აპირებდა გერმანე წივწივაძის ასი წლის იუბილეზე საფრანგეთში ჩასვლას, რომ მის საფლავზე ქართული მიწა მოებნია და სიკვდილის წინ უნახავი ბაბუასთვის მონატრებული იმერული ბადრიჯნის საცივი ჩაეტანა. სამწუხაროდ, ჩვენს ქვეყანაში დატრიალებული მძიმე მოვლენების გამო ეს ჩანაფიქრი განუხორციელებელი დარჩა.

დღეს, როცა გაიოლდა საზღვარგარეთ მისვლა-მოსვლა, იმედია, გერმანე წივწივაძის შთამომავლები შესაძლებლობის ფარგლებში ესტუმრებიან ლევილს. მათი ღირსეული წინაპრის სამუდამო ადგილსამყოფელი ხომ უკვე ცნობილია!



მურთაზ კანკაძე,
გაზეთ „ახალი წყალტუბოს“ რედაქტორი
იზეტა კანკაძის ფოტოები

ზეიმი, რომელიც დიდხანს გაგყვება

15 ნოემბერს თბილისის 140-ე საჯარო სკოლის მეორე კლასის მოსწავლეებმა დამრიგებლის ლალი ურჯუკაშვილის ხელმძღვანელობით და მშობელთა აქტიური ჩართულობით წარმოადგინეს საშემოდგომო ღონისძიება „ოქროსფერი შემოდგომა“, რომლის თემატიკა ორგანულად დაუკავშირდა თბილისის დაარსებასა და მის ისტორიას.

ბავშვები, ულამაზესი საშემოდგომო დეკორაციების და თემატიკური მუსიკის ფონზე აცოცხლებდნენ ჩვენი დედაქალაქის წარსულს.

წარმოდგენას სკოლის დირექტორი ნინო ასანიძე, მოადგილე ლალი კაპანაძე, პედაგოგები და მოსწავლეთა მშობლები ესწრებოდნენ. მან საყოველთაო მოწონება დაიმსახურა და რაც მთავარია, უზომო სიხარული განაცდევინა პატარებს.

მადლიერი მშობლების სახელით
სოფიო წამალაიძე.

მსოფლიო ბავშვთა დღე ბათუმის ბულვარში

სსიპ „ბათუმის ბულვარის“ ორგანიზებით მსოფლიო ბავშვთა დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება გაიმართა. ღონისძიების ფარგლებში, მსოფლიოს ყველა ბავშვის მიმართ სოლიდარობის გამოცხადების ნიშნად, გამოიფინა აჭარის რეგიონის მოსწავლეთა ნახატები თემატიკაზე „ჩემი კეთილდღეობა“ და ათი საუკეთესო მშობლის „წერილი შვილს“, რომელთაც ბულვარის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა სამახსოვრო საჩუქრები და სერტიფიკატები გადასცეს.

ღონისძიებაზე, ბულვარის ხელმძღვანელმა ირაკლი ჯინჭარაძემ ახალი ინიციატივა დააანონსა,რომელიც ბავშვზე ზრუნვის კეთილშობილური მიზნის განხორციელებას მოიცავს. ერთ-ერთ ინიციატივაში იგულისხმება ბულვარის ტერიტორიაზე კონტეინერების განთავსება მზრუნველობამოკლებული ბავშვებისათვის ტანსაცმლის და წიგნების შეგროვების მიზნით. აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, გაეროს ბავშვთა ფონდის წარმომადგენელს, ბავშვზე ზრუნვის სფეროში რეგიონში განხორციელებული ფასდაუდებელი საქმიანობისთვის სპეციალური სამადლობელო სიგელი გადასცა. ბულვარის ადმინისტრაცია მომავალი წლიდან აქტიურად გეგმავს სამთავრობო და არასამთავრობო სექტორთან კოორდინირებით სოციალური პროექტების განხორციელებას, რომელიც ხელს შეუწყობს სოციალურად დაუცველ ბავშვებზე ზრუნვას.

2018-2019 წლის ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი

ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველო 2014 წლიდან ახორციელებს ათასწლეულის ინოვაციის კონკურსს აშშ-ის საელჩოს ფინანსური მხარდაჭერით და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. წელს პროექტის პარტნიორია „თიბისი“.

ეროვნულ მუზეუმში გამართულ ღონისძიებაზე გასული წლის კონკურსის ფინალისტების ინოვაციური პროექტების გამოფენა მოეწყო. ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდნენ აშშ-ის ელჩის მოვალეობის შემსრულებელი როს უილსონი, ათასწლეულის გამოწვევის ფონდის აღმასრულებელი დირექტორი მაგდა მაღრაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე ქალბატონი ნათია ზედგინიძე, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე ბატონი ლაშა მიქავა, საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ქალბატონი მარიამ ჯაში, საქართველოს ეროვნული მუზეუმის დირექტორი ბატონი დავით ლორთქიფანიძე და თიბისი ბანკის გენერალური დირექტორის მოადგილე ბატონი ნიკოლოზ ქურდიანი.

ათასწლეულის ინოვაციის კონკურსი უკვე მეხუთედ ხორციელდება. ჯამში, კონკურსში მონაწილეობა აქვს მიღებული 300-მდე გუნდს და 1000-მდე მოსწავლეს საქართველოდან. 2015 და 2016 წელს, გამარჯვებულმა გუნდებმა, „მულტიკლიმატიზატორი“ (ახალციხე) და „სოლარი“ (თბილისი) მონაწილეობა მიიღეს კონრადის ფონდის ინოვაციების სამიტში, NASA კენედის კოსმოსურ ცენტრში, აშშ-ში. 2017 და 2018 წელს, გუნდებმა „Smart Kids“ (სენაკი) და „ანალემა“ (თბილისი) მონაწილეობა მიიღეს NASA-ს კოსმოსური ცენტრის უნივერსიტეტის სასწავლო პროგრამაში, ჰიუსტონის კოსმოსურ ცენტრში.

საფეხბურთო მოზაიკა

ვიდეოგამეორებების სისტემა (VAR) ჩემპიონთა ლიგაზე, შესაძლოა, მიმდინარე სეზონის მერვედფინალური ეტაპიდან დაინერგოს.

AS-ისა და The Times-ის ინფორმაციით, უეფა საბოლოო გადაწყვეტილებას 3 დეკემბერს მიიღებს. აღსანიშნავია, რომ ხსენებულ საკითხზე გუშინ უეფას სამიტზე ევროპული ფეხბურთის მმართველი ორგანიზაციის პრეზიდენტმა ალექსანდრ ჩეფერინიმაც ისაუბრა:

„ჩვენ უნდა შევაფასოთ ორი ასპექტი: მსაჯები და ტექნოლოგია. მომდევნო ერთი კვირის განმავლობაში საკითხის ჯეროვნად შევაფასებთ და შესაბამის გადაწყვეტილებასაც მივიღებთ. ამ ეტაპზე იმის თქმა შეგვიძლია, რომ ყველაზე გვიან ეს სისტემა შემდეგი სეზონიდან დაინერგება “, — განაცხადა ჩეფერინიმ.

* * *

უეფას ერთა ლიგის ნახევარფინალებამდე ძალიან დიდი დროა დარჩენილი. უკვე გაირკვა, რომ საქართველო ბელარუსს დაუპირისპირდება, ხოლო გამარჯვების შემთხვევაში ფინალში გავა, სადაც მაკედონია — კოსოვოს წყვილში საუკეთესოს შეხვდება.

საინტერესოა, რას ფიქრობთ თქვენ, ვინ მიგაჩნიათ მოცემულ ვითარებაში ყველაზე ძლიერ მეტოქედ და, შესაბამისად, საქართველოს ნაკრების მთავარ კონკურენტად ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისკენ მიმავალ გზაზე. შესაბამისი გამოკითხვა მალე მოეწყობა.

* * *

ფრანგული „პარი სენ-ჟერმენის“ თავდამსხმელი ნეიმარი დაშავდა. სამხრეთამერიკელმა შემტევმა ბრაზილიისა და კამერუნის ნაკრებთა ამხანაგურ შეხვედრაში იტკინა ფეხი და მერვე წუთზე შეცვალეს (თამაში მისმა გუნდმა 1:0 მოიგო)..

ჯერჯერობით უცნობია, რამდენად სერიოზულია ნეიმარის ტრავმა, თუმცა, დიდი შანსია, რომ ჩემპიონთა ლიგაზე მეხუთე ტურის მატჩი გამოტოვოს, რომელიც „პსჟ“-სთვის გადამწყვეტია და რომელსაც „ლივერპულის“ წინააღმდეგ ჩაატარებს. აღნიშნული ბრძოლა მომავალ კვირაში გაიმართება.

ნეიმარის ტრავმის ხარისხს დეტალურად სამედიცინო გამოკვლევა აჩვენებს.

* * *

იტალიის მოქმედი ჩემპიონი ტურინის „იუვენტუსი“ ფრანგული „პარი სენ ჟერმენის“ შემტევის კილიან მბაპეს შეძენას აპირებს. Gazzetta Dello Sport-ის ინფორმაციით, აპენინელებმა უკვე შეიმუშავეს გეგმა, რომლის მიხედვითაც ზაფხულში იმოქმედებენ.

„იუვე“ მარიო მანჯუკიჩისა და პაოლო დიბალას გაყიდვას გეგმავს და მიღებულ თანხას ფრანგი ვარსკვლავის ტრანსფერს მოახმარს. ხორვატი ამ დროისთვის დაახლოებით 30 მილიონი, ხოლო არგენტინელი 140 მილიონი ღირს.

მბაპესთან ერთად ტურინელთა სამიზნე მარკო ასენსიოც იქნება, რომელიც ბოლო დროს „რეალში“ ყოფით უკმაყოფილოა. ცოტა ხნის წინათ ესპანურმა მედიამ დაწერა, რომ „იუვენტუსში“ გადასვლის სურვილი თავად მოთამაშესაც გააჩნია.

გიორგი ზოთაძე

◎ სუმო

ცუპარებით გაანამა

ძართველმა სუმოისტმა ლევან გორგაძემ ფუკუოკაში მიმდინარე სუპერტურნირზე მნიშვნელოვანი გამარჯვება იზეიმა.

დასავლეთის ოძეკის წოდების მქონე ტოჩინოშინი კიუშიუ ბაშოს მე-11 დღეს აღმოსავლეთის მე-5 მაეგაშირა ჩიიოტაირიუს გაეჯიბრა და ცუპარებით გააწამა. იაპონელმა სეკიტორმა ქართველის მიძალებას ვერ გაუძლო და საბოლოოდ დოჰიოზე თავისით დაეარცხა, რითაც ძალიან იშვიათი ცუკიჰიზა დაფიქსირდა.

ამგვარად, გორგაძემ 5 მარცხის წილ მე-6 გამარჯვება იზეიმა და ახლა დადებითი ბალანსის (კაჩი-კოში) დასაფიქსირებლად დარჩენილი 4 ორთაბრძოლიდან ორის მოგებაც ეყოფა.

დღეს ტოჩინოშინის მეტოქე დასავლეთის პირველი ოძეკი ტაკაიასუ იქნება, რომელსაც ზურგს 9 მოგება უმაგრებს და იმპერატორის თასის მოპოვების შანსს ინარჩუნებს.

ტაკაიასუს დარი მონაგარი რიგით მაეგაშირებს — დაიეიშოსა და აოიამას აქვთ, ერთპიროვნულ ლიდერად კი აღმოსავლეთის პირველი კომუსუბი ტაკაკეიშო რჩება, რომელსაც 10 გამარჯვება მოუგროვდა.

მნიშვნელოვანი დღე ჰქონდა გაგამარუს შიკონათი ცნობილ თეიმურაზ ჯუღელსაც, რომელმაც რანგით მე-2 დივიზიონ ჯურიოში დაბრუნება გაინაღდა.

შეგახსენებთ, რომ ქართველი გოლიათი ნოემბრის ბაშოს მე-3 დივიზიონ მაკუშიტას პირველი განთესვით შეხვდა, გუშინ კი ძალები სწორედ ჯურიოში სცადა და მე-13 ნომერ გოკუშინდოს იორიკირით აჯობა.

შედეგად, გაგამარუმ 2 მარცხის ფონზე მე-4 გამარჯვება იზეიმა და ვინაიდან მაკუშიტაში ერთადერთი ორთაბრძოლაღა დარჩა ჩასატარებელი, უარყოფით ბალანსზე (მაკე-კოში) ვერცერთ ვარიანტში ვეღარ გავა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ჩოგბურთი

ჯოკოვიჩის სეზონი

სერბმა ნოვაკ ჯოკოვიჩმა სეზონი რეიტინგში პირველ ნომრად დაასრულა. იგი ჩოგბურთის ისტორიაში გახდა ყველაზე ასაკოვანი მოთამაშე, რომელიც ასე მაღლა აფრინდა. ნოვაკი ახლა 31 წლისა და 225 დღის გახლავთ.

ბალკანელმა სეზონი 9045 სარეიტინგო ქულით დაასრულა, რაც 2009 წელის შემდეგ ყველაზე დაბალი მონაგარია.

გეჟან დოლიძე

◎ რაგბი ჩვენი თამაშია!

ბექა გორგაძის მორიგი აღიარება

საქართველოს ნაკრების მორაგბე ბექა გორგაძე ნოემბრის ტესტების სიმბოლურ ნაკრებში ზედიზედ მეორედ მოხვდა, რაც 22 წლის ფორვარდისთვის უდიდესი წარმატებაა.

შეგახსენებთ, რომ ქართველი „ბორჯღალოსნის“ გარჯა ტესტ-მატჩების პირველი კვირის თავზე დაფასდა, ამჯერად კი ჩვენებურის დამაჯერებელი თამაში პოპულარულმა Skysports-მა აღიარა.

საინტერესოა, რომ ბრიტანულმა პორტალმა 8 ნომრის პოზიციაზე გორგაძე ირლანდიელ ვარსკვლავ სი ჯეი სენდერს ამჯობინა, რომელმაც ახალ ზელანდიასთან მოგებულ ჯახში ბურთი 22-ჯერ წაიღო და 2 თერნოვერის ავტორი გახდა.

აი, რას წერს Skysports ბექას შესახებ: „საქართველოს ნაკრებმა წინა შაბათს ფლორენციაში იტალიასთან პრინციპული მატჩი წააგო, თუმცა, მობილიზება მალევე მოახერხა და სამოას 27:19 სძლია, თანაც 16-ქულიანი ჩამორჩენა აღმოფხვრა.

ჩვენს თხუთმეტეულში ქართველთა მე-8 ნომერი ბექა გორგაძე მოხვდა, რომელმაც უდიდესი სამუშაო გასწია. ფრანგული „ბორდოს“ 22 წლის ენერგიულმა ფორვარდმა ბურთი 12-ჯერ წაიღო, 9 ბოჭვა შეასრულა, მეტოქეებს ბურთი ერთხელ წაღლიტა და მცველებს 4-ჯერ გასცდა“.

SKYSPORTS-ის სიმბოლური ნაკრები

15. რობ ქირნი (ირლანდია), 14. კენკი ფუკუოკა (იაპონია), 13. ჰიუ ჯოუნსი (შოტლანდია), 12. რიოტო ნაკამურა (იაპონია), 11. ჯეიკობ სტოკდეილი (ირლანდია), 10. ანდრე პოლარდი (სამხრეთ აფრიკა), 9. თომას უილიამსი (უელსი), 8. **ბექა გორგაძე (საქართველო)**, 7. პიტერ ო'მაჰონი (ირლანდია), 6. მაიკლ ლიტჩი (იაპონია), 5. ჯეიმს რიანი (ირლანდია), 4. დევინ ტონერი (ირლანდია), 3. ტაჯ ფერლონგი (ირლანდია), 2. გუილემ ჟირადო (საფრანგეთი), 1. ქიან ჰილი (ირლანდია).

კობა კობახიძე

◎ ლეგიონერები

ერთბაშად - ორნი!

ერთ-ერთმა საკალათბურთო პორტალმა მალაგის „უნიკახას“ ქართველი ცენტრი გიორგი შერმადინი ესპანეთის ჩემპიონატის მე-9 ტურის უძვირფასეს მოთამაშედ (MVP) დაასახელა.

შეგახსენებთ, რომ გასულ უქმეებზე „უნიკახა“ ჩვენებურის ყოფილ კლუბ „მორაბანკ ანდორას“ ესტუმრა და 95:84 იმარჯვა, გიომ კი ორმაგი დუბლი შეასრულა და ის მატჩის საუკეთესო კალათბურთელად აღიარეს.

შერმადინი თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ჩაერთო და 20 წუთში 17 ქულა, 10 მოხსნა, 4 ჩაჭრა და 3 დაფარება მოაგროვა. გიორგიმ რვავე (!) ორქულიანი და 2-დან 1 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 4-ჯერ დაკარგა, 3 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტმა 31-ს მიაღწია და ეს ორივე გუნდის რიგებში საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

„შერმადინი მალაგურ კლუბში მხოლოდ მე-2 სეზონს ატარებს, თუმცა, მის გარეშე „უნიკახას“ წარმოდგენა უკვე შეუძლებელია. მიმდინარე სეზონში მისი საშუალო მონაგარი 10.8 ქულაა“, — ვკითხულობთ Eurobasket.com-ზე.

ამავე ვებ-გვერდის რეიტინგში მე-7 ადგილზე გავიდა თორნიკე შენგელია, რომლის „ბასკონიამაც“ „გრან კანარია“ 91:79 დაამარცხა, ქართველი ფორვარდი კი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 27 წუთში 16 ქულა, 5 მოხსნა, 5 პასი და 1 ჩაჭრა მოაგროვა. შენგელიამ 10-დან 6 ორქულიანი და 5-დან 4 საჯარიმო ჩააგდო, სამქულიანი ააცილა, ბურთი 4-ჯერ დაკარგა, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 7-ჯერ დაჯარიმდნენ.

შედეგად, ქართველი ლეგიონერის სარგებლიანობის კოეფიციენტი 22-ს გაუტოლდა და ეს თამაშის საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ინტერნეტიდან

ინგლისის თილისმა

თუკი დედამიწის ყველაზე მიყრუებული ქვეყნების საფეხბურთო ნაკრებებსაც კი ჰყავთ თილისმად სახელდებული ლამაზმანები, არავისთვის იქნება გასაკვირი, რომ ფეხბურთის სამშობლოდ წოდებული ინგლისის საფეხბურთო ნაკრების ავგაროზის ამბავიც გარკვეული იყოს. სხვაგვარად ვერც იქნებოდა!

ალბიონელთა უპირველესი საფეხბურთო გუნდის თილისმად იწოდება და, შესაბამისად, ნაკრების დიდი ქომაგია ცნობილი ბრიტანელი ბანოვანი კარა დელევინი, რომელიც 2012 და 2014 წლებში მსოფლიოს საუკეთესო მოდელად დასახელდა და მისი საყოველთაო ცნობადობა დღეს, როგორც იტყვიან, მწვერვალის წვერზეა...

კარა დელევინი უკვე წარმატებული მსახიობიცაა და კინოხელოვნების მოყვარულთ ნამდვილად ემახსოვრებათ მის მიერ შესრულებული როლები პოპულარულ ფილმებში: „თვითმკვლელთა რაზმი“ და „ანა კარენინა“. ინგლისელებს, როგორც მრავალ სხვა რამეში, ნაკრების თილისმაშიც ნამეტნავად გაუმართლათ, ხოლო ვის არ გაუმართლა — ამაზე სხვებმა ილაპარაკონ.

როსტომ რაჭველიშვილი

◎ სეზონური პრობლემა

გაციებას უცბად რომ სძლიოთ

ზამთარში ფეხის დასველება, შეციება ჩვეულებრივი ამბავია. ამის შედეგად კი ცხვირი „იჭედება“, ხმაში ხრინწი ჩნდება, გვამცივნებს... რა უნდა მოვიმოქმედოთ საიმისოდ, რომ ავადმყოფობამ ხელი არ დაგვრიოს? ვირუსები და ბაქტერიები ხომ ორგანიზმში უსწრაფესად მრავლდებიან, ამიტომ მთავარია ამ პროცესის რაც შეიძლება დროულად შეჩერება.

პირველ ყოვლისა, უნდა გახსოვდეთ, რომ ფეხის ტერფები რეფლექტორულადაა დაკავშირებული ცხვირ-ხახასთან. თუკი ფეხზე შეგცივდათ, ან დაგისველდათ, ცხვირში მაშინვე ხიცინი გეწყებათ. კარგი ამბავი ამაში კი ისაა, რომ **თუკი ამ დროს ფეხებს გაითბობთ, შეშუპება ცხვირ-ხახაში მალევე გაგივლით**.

ფეხების გათბობა სხვადასხვა ხერხით შეიძლება: ცხელ წყალში ჩაყოფით, დაზელვით, ფეხისგულებზე გამთბობი სალბუნების (წიწაკის, ევკალიპტის) დაკრობით, ანდა უბრალოდ, შალის წინდების ჩაცმით.

გარდა ამისა, შეგიძლიათ, თავადაც გათბეთ:

ყველაზე უკეთესია სითბო, რომელსაც „შიგნით“ მიიღებთ: ეს არის ცხელი ჩაი თაფლით და ჟოლოთი, ასევე კოჭას ჩაი, რომელიც ყველაზე მეტხანს გაგათბობთ, ანდა ალკოჰოლიანი ცხელი სასმელი – ვთქვათ, გლინტვეინი, ანდა ისევ ჩვეულებრივი ჩაი ერთი კოვზი კონიაკით; ალკოჰოლი, ასე ვთქვათ, სუფთა სახით, ამ დროს სუსტად მოქმედებს: სწრაფად გასათბობად მისი მოხმარება მხოლოდ ინგრედიენტის სახითაა უმჯობესი; კიდევ ერთი რეცეპტია – პროპოლისიანი (**ფუტკრის შხამიანი – დ.ხ.**) ცხელი რძის დალევა ლოგინში. ამის შემდეგ სასურველია, ფეხზე 30-40 წუთი მაინც არ ადგეთ, რადგან ამ დროს გრილი ჰაერი მოგხვდათ, მაშინ გაციებას ნამდვილად ვეღარ გადაურჩებით.

ასევე რეკომენდებულია დაზელვა: ეს კანის გაღიზიანებას და, შესაბამისად, საჭირო ზონაში სისხლის მოწოლას უზრუნველყოფს. გაციების საწყის სტადიაზე პრობლემური ზონებია **მკერდი** და **ცხვირის წიაღები**. გამთბობი საცხით (ვიეტნამური ბალზამის ტიპის) მასაჟი პრობლემურ ზონაში „გაჭედილობის“ მოხსნას უზრუნველყოფს.

ერთი კია – ამ დროს მეტად მნიშვნელოვანია ზომიერების დაცვა; პრინციპი – „რაც მეტი, მით უკეთესი“ ამ შემთხვევაში არ მუშაობს. ცხვირის წიაღების შემთხვევაში საცხი საკმარისია ფრჩხილის წვერზე დაიდოთ, მკერდის შემთხვევაში კი – ასანთის თავისხელა ოდენობით. ამის მიზეზი კი ისაა, რომ მსგავს საცხებს დიდი ოდენობით შეუძლიათ ხანგრძლივი დროით კანის გაღიზიანება.

მოამზადა
დალი ხუნდაძემ

◎ ინფორმაცია თემაში

ფეხების სწორად დათბუნება

– საამისოდ უნდა გამოიყენოთ ტაშტი ან ვედრო, თუმცა ეს უკანასკნელი უმჯობესია იმ თვალსაზრისით, რომ მასში ფეხების მუხლებამდე ჩაყოფა შეიძლება. წყლის ტემპერატურა 38-39 გრადუსი უნდა იყოს;

– გვერდით დაიდგით ცხელი წყალი ჩაიდნით, 2-3 წუთის შემდეგ, როცა ტაშტში თუ ვედროში წყლის ტემპერატურას შეეჩვევით, მის უფრო გასათბობად ცხელი წყალი დაამატეთ. შემდეგ პროცედურა გაიმეორეთ და ტემპერატურა 40-41 გრადუსამდე აიყვანეთ. ოღონდ თავს ნუ გაიწვალებთ: წყლის ტემპერატურა თქვენთვის კომფორტული უნდა იყოს;

– საჭიროა დროის დანიშვნა: 15 წუთზე მეტი ხნით ფეხების დათბუნება ჯანმრთელობისთვის მავნეა;

– შემდეგ ფეხები უნდა გაიმშრალოთ და წაისვათ მკვებავი საცხი – არა სამკურნალო, არამედ კოსმეტიკური მიზნით, ვინაიდან ცხელი წყალი კანს აშრობს;

– ოპტიმალური იქნება, თუკი პროცედურის შემდეგ ლოგინში ჩაწვებით და თაფლიან ან ლიმონიან ცხელ ჩაის დალევთ.

დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო პუნქტები გაიხსნა

შინაგან საქმეთა სამინისტროს დროებითი მოთავსების უზრუნველყოფის დეპარტამენტმა, იზოლატორებში ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის დასაქმების პროექტის ფარგლებში, მცხეთის, საგარეჯოს, ყვარლის, ზეტაფონისა და ფოთის იზოლატორებში სამედიცინო პუნქტები გახსნა.

პუნქტებში შესაბამისი ინფრასტრუქტურა მოეწყო. იზოლატორში დასაქმებული ექიმები აღნიშნულ დაწესებულებაში მოთავსებულ პირებს სამედიცინო მომსახურებას ადგილზე გაუწევენ. ექიმებმა ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებული გადამზადების კურსი გაიარეს. დროებითი მოთავსების იზოლატორებში სამედიცინო პუნქტების გახსნის პროექტის ინიცირება შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 2018 წლის დასაწყისში მოხდა. აღნიშნული პროექტი საქართველოს სახალხო დამცველის 2017 წლის ანგარიშში ასახული რეკომენდაციების შესრულებასაც ემსახურება.



შინაგან საქმეთა სამინისტრო, დაკავებულთა უფლებების დაცვის მაღალი სტანდარტის უზრუნველსაყოფად, დროებითი მოთავსების იზოლატორების რეაბილიტაციას აგრძელებს.

2018 წლის ნოემბერში 6 იზოლატორში სრულად განახლდა ვიდეოსამეთვალყურეო სისტემები. დანარჩენ იზოლატორებში ტექნიკის განახლების პროცესი 2019 წელსაც გაგრძელდება, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს იზოლატორებში ადამიანის უფლებების დაცვის მონიტორინგის უფრო ეფექტიანად განხორციელებას.

მიხეილ გიორგაძე უცხოეთში გადაიყვანეს

გავრცელებული ინფორმაციით, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის პირველი მოადგილე მიხეილ გიორგაძე ინგოროყვას კლინიკის რეანიმაციული განყოფილებიდან გუშინ თურქეთის ერთ-ერთ კლინიკაში გადაიყვანეს.

გიორგაძე ავარიის შემდეგ, მართვით სუნთქვაზე იმყოფება და ექიმების ინფორმაციით, მისი მდგომარეობა მძიმეა, თუმცა სტაბილური. მინისტრის მოადგილეს თავის ტვინის დაჟეჟილობა, გულმკერდის დახურული ტრავმა, ნეკნების მრავლობითი მოტეხილობა და მენჯის ძვლის მოტეხილობა აღენიშნება. მიხეილ გიორგაძე ავარიაში 18 ნოემბერს მოყვა. შემთხვევა ყვარელში მოხდა. არსებული ინფორმაციით, მიხეილ გიორგაძე ხეს შეეჯახა. იგი საჭესთან თავად იჯდა და მანქანაშიც მარტო იმყოფებოდა.

სანთელი

დიტო ბაქანიძე

გუშინ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა 37 წლის დიტო ბაქანიძის გარდაცვალების განცხადება, რომელშიც დაშვებულია მცირედი უზუსტობა: მიცვალებულის გამოსვენება ვაკის (ყოფილი სტუდქალაქის) სამების ეკლესიიდან მოხდება 14 საათზე და არა – 15 საათზე, როგორც ეს გუშინდელ ტექსტში იყო მითითებული.

ხსოვნა

თეიმურაზ ჯანაშია, ნოდარ თოფურია, ვაჟა ადეიშვილი, საქართველოს მშენებელთა ფედერაცია და სააქციო საზოგადოება „თბილქალაქმშენი“ მწუხარებას გამოთქვამენ, რომ გარდაიცვალა და მშენებელთა ღირსეულ საზოგადოებას გამოაკლდა სააქციო საზოგადოება „საქმონოლითმშენის“ ყოფილი გენერალური დირექტორი, საქართველოს დამსახურებული მშენებელი, პროფესიონალი ინჟინერი, საზოგადოების ღირსეული წარმომადგენელი

ნუგზარ მგელაძე

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ურნმუნოთა დასაჯერებლად – 40 მილიონი ევრო ქართული კულტურის აღორძინებისთვის

თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რემონტისთვის ფონდმა „ქართუმ“ 40 მლნ ევროზე მეტი დახარჯა, რაც ოპერის თეატრის გულშემატკივრებისათვის და ზოგადად საქართველოსთვის დიდი საჩუქარია, – აცხადებს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი მაისურაძე.

თბილისის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი ბიძინა ივანიშვილის ქველმოქმედების ჩამონათვალში ერთ-ერთია. 2010 წელს ფონდმა „ქართუმ“, ფაქტობრივად, გადაარჩინა მძიმე მდგომარეობაში მყოფი თეატრის შენობა და თეატრის შემოქმედებითი კოლექტივი, რომლებსაც წლების განმავლობაში რთულ პირობებში უწევდათ ცხოვრება და მოღვაწეობა. ფონდი „ქართუს“ დახმარებით არაერთი დამსახურებული მოღვაწე გადაურჩა ურთულეს წლებს.

1978 წლის შემდეგ, როდესაც თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი მეორე ხანძრის შემდეგ აღდგა, შენობას მასშტაბური რესტავრაცია მხოლოდ 2010 წელს ჩაუტარდა. საერთაშორისო ფონდ „ქართუს“ მიერ მოწვეული იყვნენ მსოფლიოს წამყვანი კომპანიები: გერმანული ფირმა „გერიეტსი“, ავსტრიული ფირმა „ვაგნერ ბირო“, სერბული „სვეტლოსტი“, გერმანული ფირმა „ზალცბრენერი“, რომელთაც აღადგინეს და ტექნიკურად გამართეს თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრი. ფუნდამენტურად შეიცვალა შენობის ყველა დეტალი, განახლდა თეატრის ინტერიერის მოხატულობა, სცენა გაიმართა უმაღლესი სტანდარტის თანამედროვე ტექნიკით, განახლდა თეატრის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, გადიდდა საორკესტრო ორმო, მცირე სცენად გადაკეთდა ჯ. კახიძის სახელობის სარეპეტიციო დარბაზი, თეატრს დაემატა ღია ვერანდები და საგამოფენო სივრცეები. განახლდა და გაიწმინდა ავსტრიაში დამზადებული უნიკალური ბროლის ჭაღი, გაკეთდა და მოეწყო ახალი საგრიმიოროები, მოსასვენებელი დარბაზები მაყურებლისთვის და მუსიკოს-შემსრულებლებისთვის, თეატრს მიემატა სასადილო, შეძენილ იქნა ახალი ტექნიკა, ავეჯი, მუსიკალური ინსტრუმენტები ორკესტრისათვის და ასევე უმაღლესი კლასის როიალები. გადიდდა თეატრის მიმდებარე სკვერი. თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რემონტისთვის ფონდმა „ქართუმ“ 40 მილიონ ევროზე მეტი დახარჯა, რაც ოპერის თეატრის გულშემატკივრებისათვის და ზოგადად საქართველოსთვის დიდი საჩუქარია.

სახალხო მოძრაობა - „არა ნაციზმს!“

თუ ჩაწერილი ხართ რეგიონში და 28 ნოემბერს არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ვერ ახერხებთ რეგისტრაციის მისამართზე ჩასვლას სახალხო მოძრაობა „არა ნაციზმს“ უზრუნველყოფს თქვენს ტრანსპორტირებას თბილისიდან რეგიონში და რეგიონიდან თბილისში.

* * *

დამატებითი ინფორმაციისთვის და მსურველთა რეგისტრაციისთვის დარეკეთ: 592000550 ვაჟა

◎ მუნაბისი... მილიარდნახევრად!

ფაქირი*

საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ უსაზღვროდ დიდმა სიკეთემ „კუპონას“ (რომან გოცირიძეს) კუპონებთან ერთად ელემენტარული ლოგიკაც დაავიწყა

ქველმოქმედი რომ უპოვარს
ჩუქნის მილიარდ ნახევარს,
ამან აღაგზნო „კუპონა“
და ალმაცერად გახედა.
„ჯვარს აცვი!“ - ახსოვს, ვისგანაც
ვერ ცოცხლობს უკარნახებლად,
ამქრებიც გაქირ ვირს ჰგვანან,
აღარ სურთ უკანდახევა,
თუმცა ბუღი დგას მტვრისგანა,
ბეცი ნაცების სახედრად!

*გაქირი - ჯიუტი, კერპი, ოჩანი (ალ. ღლონტი)

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისიდან

16 წლის გოგო გაყიდეს

16 წლის გოგო 500 ძროხაზე, 10,000 დოლარსა და 3 მანქანაზე გაყიდეს — აუქციონი ფეისბუქზე გაიმართა. ამის შესახებ ინფორმაციას „როიტერი“ ავრცელებს. სააგენტოს ცნობით, აუქციონი 25 ოქტომბერს გაიმართა, რომელშიც 5 მამაკაცი მონაწილეობდა.

ადგილობრივი მედიის ცნობით, აუქციონში მონაწილე ხუთივე მამაკაცი სამხრეთ სუდანის მთავრობაში სხვადასხვა თანამდებობებს იკავებს. გავრცელებული ინფორმაციით, ოჯახმა, 16 წლის გოგო, პატარძლის სტატუსით, მდიდარ ბიზნესმენს 500 ძროხის, 3 ძვირადღირებული მანქანის და 10 000 დოლარის სანაცვლოდ მიჰყიდა.

სოციალური ქსელის ადმინისტრაციამ მომხდარის შესახებ გვიან შეიტყო — „წაშლილია აუქციონი, გოგონას ფოტო და მომხმარებელიც სოციალური პლატფორმის სტანდარტების დარღვევის გამო, ადამიანთა ტრეფიკინგის ნებისმიერი ფორმა სოციალურ ქსელში აკრძალულია და ისჯება კანონით“.

უფლებადამცველები სუდანის ხელისუფლებას მოუწოდებენ, მიიღონ შესაბამისი ზომები და სათანადოდ დაისაჯონ მომხდარში მონაწილე პირები.

UNICEF-ის ინფორმაციით, მიუხედავად იმისა, რომ სამხრეთ სუდანში ლეგალური ასაკი ქორწინებისთვის 18 წელია, 50%-ზე მეტი სუდანელი გოგო აღნიშნულ ასაკამდე ქორწინდება.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10;
599 797 679.

„ჯეომედია“
266-51-13;
593 209 526

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

უკეთესია შუაღამემდე დაძინება

არის ხალხი, ვინც ძალიან გვიან იძინებს, მათ „ბუებს“ უწოდებენ, არიან ისეთებიც, ვინც ადრე იძინებენ და მზის ამოწვერებამდე დიდი ხნით ადრე უკვე საქმეს აკეთებენ, მათ „ტოროლები“ ჰქვიათ.

მრავალრიცხოვანი გამოკვლევებით დადგინდა, რომ „ბუები“ „ტოროლებზე“ ნაკლებს ცოცხლობენ. მათ უფრო ხშირად ემართებათ შაქრიანი დიაბეტი და გულსისხლძარღვთა დაავადებები, თანაც მათი ძილიც საკმაოდ უხარისხოა. საქმე ისაა, რომ რაც უფრო ხანგრძლივია შუაღამემდელი ძილი, მით უფრო მეტი მელატონინი გამომუშავდება ორგანიზმში. ეს ჰორმონი მარტო ხელს კი არ უწყობს ძალთა აღდგენასა და მხნედ გაღვიძებას, არამედ აქვეითებს სისხლში შაქრის შემცველობას, აუმჯობესებს იმუნური სისტემის მუშაობას, იცავს ნერვულ სისტემას სტრესებისგან და პროფილაქტიკას უწევს ავთვისებიან სიმსივნეთა წარმოშობას.

„ბუები“ კი მელატონინს არასაკმარისი ოდენობით გამოიმუშავებენ, ისინი „ტოროლებზე“ ხშირად ცივდებიან, უფრო ადვილად სუქდებიან, უფრო ძლიერ ნერვიულობენ და ნაადრევად იღუპებიან.

ეზოში ავი ძაღლია!

ძაღლები უფრო ხშირად გაღიზიანებულ და დამფრთხალ ადამიანებს კბენენ. გამოკითხვის შედეგად გაირკვა, რომ ძაღლები მამაკაცებს კბენენ ქალებზე მეტად, ხოლო ბავშვებსა და მოზარდებს კი, ზრდასრულ ადამიანებზე უფრო ხშირად ესხმიან თავს.

რისკის ჯგუფში ასევე შედიან ემოციურად არასტაბილური პირები, რომელთაც ძაღლები სხვებზე მეტად ერჩიან. ზოოფსიქოლოგთა აზრით, ასეთი ადამიანების მოუსვენარი და მკვეთრი მოძრაობები ცხოველთა აგრესიულობას იწვევს.

ყურადღება! ყურადღება!

ძვირფასო ქართველო ბიზნესმენებო, უნიკალური სამკურნალო თვისებებით განთქმულ კურორტ საირმეში იყიდება 2433 კვადრატული მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც გამოდგება ნებისმიერი სოციალურ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სამკურნალო-გამაჯანსაღებელი ან სასტუმრო კომპლექსის ასაშენებლად.

ფასი შეთანხმებით!

დაგვიკავშირდით ტელეფონებზე:
599-79-76-79; 599-36-00-35; 599-53-76-16.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე — გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6741; ევრო - 3.0581;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.4421;
100 რუბლი - 4.01851; თურქული ლირა - 0.4992;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5776;
1000 სომხური დრამი - 5.5182.

ამინდი 22 ნოემბრისთვის
აღმოსავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +3, დღე +14
მთიანი რაიონები - ღამე 0, დღე +10
დასავლეთი საქართველო:
ბარი - ღამე +7, დღე +17
მთიანი რაიონები - ღამე +2, დღე +11
თბილისი: ღამე +7, დღე +11

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge